საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვუტი სიფფვაა, ფფუილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 22 სექტემბერი. 2021 წ. №178 (9297) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

ბანერებია თუ ბუმერანგები?!

თეა წულუკიანი: შევხედავთ, შეგვზარავს და ვიტყვით, რომ ეს არასდროს აღარ უნდა დავაბრუნოთ!

ოპოზიციური ფლანგი მუდმივად ბრალს სდებს სრულიად სამყაროს იმაში, რომ ამ ქვეყანაში მათი მოსაწონი არაფერი გაკეთებულა. ვფიქრობ, ეს ბილბორდი მაინც არის მათი მოსაწონი, შეხედავენ ერთმანეთს და გაუხარდებათ, — ამის შესახებ საქართველოს კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის მინისტრმა თეა წულუკიანმა ე.წ. „სისხლიან ბანერებთან“ დაკავშირებით განაცხადა.

„აზრთა სხვადასხვაობა არსებობს ამ ბილბორდებთან დაკავშირებით. მე კი ასე ვიტყოდი, რომ ოპოზიციური ფლანგი მუდმივად ბრალს სდებს სრულიად სამყაროს იმაში, რომ ამ ქვეყანაში მათი მოსაწონი არაფერი გაკეთებულა. მე ვფიქრობ, ეს ბილბორდი მაინც არის მათი მოსაწონი, შეხედავენ ერთმანეთს და გაუხარდებათ, ხოლო ვისაც არ მოგვწონს, მათთვის ვფიქრობ, ეს წამალივითაა, რომ ყველამ კარგად შევხედოთ ამ ბილბორდებს, ყველას მოგიწოდებთ, და გავიხსენოთ, რა არ გვინდა, რადგან წარსულზე ლაპარაკის აკრძალვას ცდილობენ, წარსული არასდროს არავინ უნდა დაივიწყოს. არც ცუდი და არც კარგი, ვფიქრობ, ამ ბილბორდებს აქვს თავისი ძალიან დიდი დანიშნულება, ვისაც არ მოგვწონს, შევხედავთ, შეგვზარავს და ვიტყვით, რომ ეს არასდროს აღარ უნდა დავაბრუნოთო. ვისაც მოსწონს, ის შეხედავს და გაუხარდება“, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

იხ. 2 გვ.

რუსეთის არჩევნები არ შეესაბამებოდა თავისუფალ და სამართლიან პროცესს!!!

შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში კომენტარი გააკეთეს რუსეთის დუმის არჩევნებზე, რომელიც გუშინწინ დასრულდა.

„რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები, რომელიც 17-19 სექტემბერს გაიმართა, მიმდინარეობდა ისეთ პირობებში, რომელიც არ შეესაბამებოდა თავისუფალ და სამართლიან პროცესს. რუსეთის მთავრობის მიერ გამოყენებულმა კანონებმა „ექსტრემისტული ორგანიზაციების“, „უცხოელი აგენტებისა“ და „არასასურველი ორგანიზაციების“ შესახებ, სერიოზულად შეზღუდა პოლიტიკური პლურალიზმი და ხელი შეუშალა რუს ხალხს თავისი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების რეალიზებაში.

რუსეთის ხელისუფლების მიერ დაწესებულმა შეზღუდვებმა, რომლებსაც წინ უძღოდა ფართომასშტაბიანი ძალისხმევა პოლიტიკური მოღვაწეების მარგინალიზაციისაკენ, ასევე არ მისცა შესაძლებლობა ეუთოსა და საპარლამენტო ასამბლეას დაკვირვებოდნენ არჩევნებს, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა სამართლიანი არჩევნების აუცილებელი გამჭვირვალობა“, — ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახურის განცხადებაში.

„მოვუწოდებთ რუსეთს, დაიცვას საერთაშორისო ვალდებულებები ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლების შესახებ და შეწყვიტოს სამოქალაქო საზოგადოებაზე, პოლიტიკურ ოპოზიციასა და დამოუკიდებელ მედიაზე ზეწოლის კამპანია. ამის გარდა, არ ვაღიარებთ, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების ჩატარებას სუვერენული უკრაინის ტერიტორიაზე და ვადასტურებთ ჩვენს ურყევ მხარდაჭერას უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის“, — აღნიშნულია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში. ოფიციალური მონაცემებით, რუსეთში საპარლამენტო არჩევნებში მმართველი პარტია „ედინაია რასია“ იმარჯვებს, რომელსაც საკონსტიტუციო უმრავლესობა ექნება.

საით მიცურავს ⑥ აფხაზური ნავი?!

ნონა გაფრინდაშვილმა მთელ მსოფლიოს შეახსენა, რომ ქართველია!

ჯიმშერ ჩარკვიანი

მაღლიერება

რით განსხვავდება ბნელმხილველი ვალერი გელბახიანი ნათელმხილველ ვანგასგან ⑪

⑤ მესტია - „ჩამკვდარია კულტურა, სპორტი...“

ირაკლი კობახიძე: ოპოზიცია უკვე დამხობილია!..

ოპოზიცია უკვე დამხობილია და არანაირი კადრები მას დამატებით დამხობისთვის არ სჭირდება, — ასე უპასუხა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტების მიერ დასმულ შეკითხვას, რომლის თანახმადაც, „წინასაარჩევნოდ მმართველი გუნდი გეგმავს ისეთი კადრების გავრცელებას, რომელიც ოპოზიციას დაამხობს და რა სახის კადრებზეა საუბარი“.

— ვსაუბრობთ იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ წარმოგვიდგენია შემდეგი დღეები ამ წინასაარჩევნოდ. არავითარ კადრებზე არ არის საუბარი. ოპოზიცია უკვე დამხობილია და არანაირი კადრები მას დამატებით დამხობისთვის არ სჭირდება. ესენი საკუთარ თავს თვითონვე იმხობენ, გამომდინარე იქიდან, რომ არ ესაუბრებიან ხალხს, არ ესაუბრებიან საზოგადოებას, იმ დროს, როდესაც ჩვენ მთლიანად ამით ვართ დაკავებული. ჩვენი პროგრამები არის თითოეული მუნიციპალიტეტისთვის და ჩვენ ვესაუბრებით საზოგადოებას, განსხვავებით ოპოზიციისგან. ბევრი სხვა ფაქტორიც არის, რის გამოც რადიკალური ოპოზიცია 2 ოქტომბერს მიიღებს ძალიან მძიმე შედეგს.

კახა კუჭავა: მხოლოდ სესიაც არ იქნება საკმარისი!..

გავრცელებულ ჩანაწერებთან დაკავშირებით, პარლამენტში რიგგარეშე სხდომა არ გაიმართება. კანონის მიხედვით, როგორც წესი, არჩევნებამდე სხდომები არ ტარდება. პარლამენტის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ რიგგარეშე სხდომა არჩევნებიდან ერთი კვირის შემდეგ უნდა გაიმართოს.

„თავად სიტყვა ამბობს — უკანონობაა ყველანაირი უკანონო მოსმენა. თუ უკანონო მოსმენაზე ვსაუბრობთ, ე.ი. უკვე დარღვევა და დანაშაულია. უსაფრთხოების სამსახური რას და ვის მოსმენას ჩათვლის საჭიროდ, კანონიერების ფარგლებში, ეს ქვეყნის უსაფრთხოების საკითხია და შესაბამისმა უწყებამ უნდა გადაწყვიტოს. ეს ის საკითხია, რომელზეც, საპარლამენტო სხდომა აუცილებლად უნდა ჩატარდეს. არ შეიძლება, ეს საკითხი ასე, უბრალოდ, დაიხუროს ან, წინასაარჩევნოდ, ვინმე იყენებდეს. ჩემი აზრით, მხოლოდ სესიაც არ იქნება საკმარისი და შეიძლება, მეტი სანდოობისთვის, საგამოძიებო კომისიის შექმნაც გახდეს საჭირო, სადაც ოპოზიცია და მმართველი გუნდი ერთად მიიღებენ მონაწილეობას. არჩევნებამდე, ზოგადად, სესიები არ ტარდება. მით უმეტეს, როდესაც ამდენად პოლიტიკური ელფერის მიცემა უნდა, განსაკუთრებით, ოპოზიციას, ამ არჩევნებისთვის. ეს სხდომა აუცილებლად ჩატარდება, როგორც კი არჩევნები დასრულდება“, — თქვა კახა კუჭავამ.

ვლადიმერ ჩაჩიბაია: ჯარი ყველას ემსახურება!

პოლიტიკისა და ჯარის შეთავსება დაუშვებელია, იმიტომ რომ ჯარი ყველას ემსახურება, — ამის შესახებ „იმედის კვირასთან“ მიხეილ საакაშვილის განცხადებაზე საუბრისას ვლადიმერ ჩაჩიბაიამ აღნიშნა. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამბობს, რომ დღეს სააკაშვილის უკრაინის მოქალაქეა და უფრო მეტი პასუხისმგებლობა ამ სახელმწიფოს მიმართ მართებს.

ის ჯარის პოლიტიკისთვის გამოყენების მავნე პრაქტიკის მაგალითს წარსულიდან იხსენებს, ამბობს, რომ 2012 წლამდე საარჩევნო უბნები პირდაპირ სამხედრო ნაწილებში იხსნებოდა, იმისთვის, რომ მმართველ ძალას, მაქსიმალური შედეგი მიეღო.

„2012 წლამდე ვალდებულება იყო, როცა ხმას აძლევდი გადაგეღო სურათი საარჩევნო ბიულეტენისთვის და უნდა გეჩვენებინა, რომ დადასტურებულად ხმა მიეცი მმართველ პარტიას. დღეს ეს არ არსებობს“, — აცხადებს ჩაჩიბაია.

საქართველო არ ცნობს ყირიმსა და ქალაქ სევასტოპოლში რუსეთის ფედერაციის მიერ ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ყირიმის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ქალაქ სევასტოპოლში რუსეთის ფედერაციის მიერ საპარლამენტო არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გმობს ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქალაქ სევასტოპოლის ანექსიას და შესაბამისად, არ ცნობს ყირიმსა და ქალაქ სევასტოპოლში 2021 წლის 17-19 სექტემბერს, რუსეთის ფედერაციის მიერ ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებს, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და უკრაინის კანონმდებლობის უხეშ დარღვევას.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო კვლავ ადასტურებს უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი ურყევ მხარდაჭერას, მისი საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში“, — აღნიშნულია განცხადებაში.

ჯილდო ახალგაზრდობას - მშვიდობისთვის!

სახელმწიფო მინისტრის აპარატი მშვიდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ახალგაზრდებისთვის ყოველწლიურ ჯილდოს აწესებს სახელწოდებით — **„სახელმწიფო მინისტრის აპარატის მშვიდობის ჯილდო ახალგაზრდებისთვის“ (SMR Peace Award for Youth).**

ჯილდო გადაეცემა ახალგაზრდას/ახალგაზრდებს, რომლებსაც საქართველოს მთავრობის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, თავიანთი საქმიანობითა და აქტივობით განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ მშვიდობის მშენებლობის და ომით გაყოფილ საზოგადოებებს შორის შერიგების, ასევე კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის დახმარების პროცესში.

ჯილდოს მიღება, პირის ან პირთა ჯგუფის წარდგინების საფუძველზე, შეეძლება ნებისმიერ ახალგაზრდას (18-დან 29 წლამდე), ახალგაზრდების ჯგუფს ან ახალგაზრდულ ორგანიზაციას, რომელიც:

- **კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების/მშვიდობის მშენებლობის თემაზე ახორციელებს აკადემიურ საქმიანობას (აწარმოებს კვლევებს ან წერს ნაშრომებს);**
- **მონაწილეობს ქართულ-აფხაზურ/ქართულ-ოსურ ნდობის აღდგენის პროექტებში, ან თავად ახორციელებს მსგავს ინიციატივებს;**
- **დახმარებას უწევს კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობას, ან აქტიურად ხელს უწყობს მსგავსი დახმარების მოზიდვას;**
- **ჩართულია სამოქალაქო აქტივობაში მშვიდობის მშენებლობის მიზნით.**

სახელმწიფო მინისტრის აპარატის მშვიდობის ჯილდო ახალგაზრდებისთვის“ 2022 წლიდან გაიცემა.

ღონისძიებას ესწრებოდა საქართველოში გაეროს მუდმივი წარმომადგენელი საბინე მახლი. მისი თქმით, ახალგაზრდების მონაწილეობა მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებაში ძალიან მნიშვნელოვანია.

„პირველ რიგში მინდა, მადლობა გადავუხადო თეა ახვლედიანს, რომ აქ შეგვკრიბა ახალგაზრდებთან ერთად მშვიდობის დღეს. 21 სექტემბერი ჩვენთვის გაეროში ასევე ძალიან მნიშვნელოვანი დღეა, რადგან გვსურს, ფოკუსირებული ვიყოთ უფრო მეტად მშვიდობაზე და არა ომზე. ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდების მონაწილეობა მსოფლიოში მშვიდობის ფორმირებაში და შენარჩუნებაში, განსაკუთრებით დღეს, როდესაც ძალიან რთული ვითარებაა პანდემიასთან დაკავშირებით, რა შეგვიძლია ყველას ერთად გავაკეთოთ მშვიდობიანი საზოგადოებების ხელშეწყობისთვის. ძალიან გვჭირდება მშვიდობა ჩვენთვის და მშვიდობა გარემოსთვის“, — განაცხადა გაეროს მუდმივმა წარმომადგენელმა.

იაპონიამ საქართველოს ჰიდროენერგეტიკულ სფეროში პირველი ინვესტიცია განახორციელა

„ენერგოუსაფრთხოება და ენერგოდამოუკიდებლობა ძალიან მნიშვნელოვანია იაპონიისთვის, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ქვეყნისთვის, რადგან იგი დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკასა და ადამიანების ცხოვრებაზე“, — განაცხადა იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში იმამურა აკირამ პლატფორმა „ენერგომომავალისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

„უცხოურ ენერგორესურსებზე იაპონიის დამოკიდებულება 90%-ს აღწევდა. ეს ძალიან ძვირი გვიჯდებოდა, რადგან გვიწევდა მათი ტრანსპორტირება ზღვის გავლით. ენერგოუსაფრთხოება და ენერგოდამოუკიდებლობა ძალიან მნიშვნელოვანია იაპონიისთვის, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ქვეყნისთვის, რადგან იგი დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკასა და ადამიანების ცხოვრებაზე“ — განაცხადა იაპონელმა დიპლომატმა.

ელჩმა ხაზგასმით აღნიშნა ის წვლილი, რომელიც იაპონიის ენერგოსისტემაში ჰიდროელექტროსადგურებს მიუძღვის და განმარტა, თუ რა მიდგომებს იყენებს სახელმწიფო ახალი ჰესებისა თუ სხვა ტიპის ელექტროსადგურების მშენებლობისას. **„იაპონიისთვის უმნიშვნელოვანესია ჰიდროელექტროსადგურების არსებობა: საკუთარი რესურსებით ელექტროენერგიის წარმოების უდიდესი ნაწილი ხომ სწორედ ჰიდროსადგურებზე მოდის და ალბათ, ასე იქნება მომდევნო წლებშიც. ჰიდროელექტროსადგურები იმ ადგილებშიც შენდება, სადაც სეისმოლოგიური რისკები შეიძლება, არსებობდეს. რასაკვირველია, უამრავ კვლევას ვატარებთ სეისმოაქტივობის შესასწავლად. ასევე ვამყარებთ კომუნიკაციას საზოგადოებასთან, რათა მივაღწიოთ კონსენსუსს იმის თაობაზე, რამდენად უსაფრთხოა სადგურების მშენებლობა და რამდენად გამართლებულია საზოგადოების წუხილი ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით. ეს კომუნიკაცია ნებისმიერი ჰესის ან სხვა ტიპის ელექტროსადგურის მშენებლობის პროცესის ძალზე მნიშვნელოვანი ნაწილია“** — აღნიშნა მან. იმამურა აკირას განცხადებით, საქართველოს დიდი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი აქვს, რომელსაც იაპონია ინტერესით აკვირდება და ამ მიმართულებით უკვე პირველი ინვესტიციაც განახორციელა.

„ვფიქრობ, მისი ლანდშაფტიდან გამომდინარე, საქართველოს უზარმაზარი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი აქვს, რაც გენერაციის გაზრდის საშუალებას იძლევა. იაპონია დიდი ინტერესით აკვირდება თქვენი ქვეყნის პოტენციალს. სწორედ ამიტომ ჩვენმა ენერგეტიკულმა გიგანტმა TEPCO-მ (Tokyo Electric Power Company) გადაწყვიტა პირველი ინვესტიციის განხორციელება დარიალის ჰიდროელექტროსადგურში“, — დასძინა ელჩმა.

ღარიბი მელია!

ნიკა მელია, რომელიც 2020 წელს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიის თავმჯდომარედ აირჩიეს, პარლამენტის ტრიბუნის დატოვებას და თბილისის მერის სკამის დაკავებას უკვე მეორედ ცდილობს.

მელიას პოლიტიკური კარიერა სკანდალებითაა დახუნძლული. იმის მიუხედავად, რომ მას საპარლამენტო იმუნიტეტი იცავდა, „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეს იმუნიტეტი მოუხსნეს და ციხეშიც აღმოჩნდა. „დიდი ფიქრის“ შემდეგ, მელიამ გირაო გადაიხადა, საპატიმრო დატოვა და კვლავ პარლამენტში ვიხილეთ. ახლა კი, მელია კახა კალაძეს ეცილება მერის სავარძელს.

For.ge დაინტერესდა, რა ქონებას ფლობს **ნიკა მელია** და რა ქონებით აპირებს მერის თანამდებობის დაკავებას?

„ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერს დეკლარაცია 2020 წლის 31 დეკემბერს აქვს შევსებული და გიორგი გახარიასგან განსხვავებით, მელიას დეკლარაცია საკმაოდ ღარიბულად გამოიყურება. თუმცა, არის რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც ყურადღებას იქცევს. მელიას დეკლარაციის „სიღარიბეს“ ისიც ამტკიცებს, რომ მისი გირაო 40 ათასი ლარი ევროპულმა ფონდმა გადაიხადა.

რაც შეეხება მის ქონებას, ნიკა მელია თბილისში ორ ბინას ფლობს — 2009 წელს სოლოლაკში, ჭონქაძის ქუჩაზე 105კვ.მ ბინა 80 ათას ლარად შეიძინა, ხოლო 2011 წელს 140კვ.მ ბინა ხოშტარიას ქუჩაზე 180 ათას დოლარად იყიდა. იგი ფლობს ასევე ავტოფარეხს, რომლის 15%-იანი წილია მის საკუთრებაში. რაც შეეხება მის ფინანსურ მდგომარეობას, დეკლარაციის შევსების მომენტში, საბანკო ანგარიშებზე ჯამში - 31 518 ლარი, ხოლო ნაღდი ფულის სახით 8 ათასი დოლარი ჰქონდა.

ამასთან, 2019 წელს მისი, როგორც პარლამენტის წევრის ხელფასი, 46 549 ლარს შეადგენდა. როგორც დეკლარაციაშია აღნიშნული, 2019 წელს მამისგან, **ანზორ მელიასგან** საჩუქრის სახით 10 ათასი დოლარი მიიღო...

ეგრე ცოტა, ანზორ?!

ქეთი გიორგაძე

ბანერებია თუ ბუმერანგები?!

„სისხლიანი 9 წელი“, — ეს თითქოს „ქართული ოცნების“ სლოგანი გახდა 2012 წლიდან დღემდე. ერთგვარი პროპაგანდა, რომელიც წინა ხელისუფლების, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ მოქმედებს, განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში ამოქმედდება ხოლმე: „თუკი მე არ მომცემ ხმას, სისხლიანი რეჟიმი დაბრუნდება ხელისუფლებაში“ — მმართველი პოლიტიკური ძალის მხრიდან ამაზე აპელირებას იმდენად ხშირად აქვს ადგილი, რომ საბოლოოდ, ექსპერტთა ნაწილი არ გამორიცხავს იმასაც, რომ ამან უკურეაქცია გამოიწვიოს.

მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოვიდა, ამომრჩეველს მხოლოდ ორი გზა ჰქონდა: „ნაციონალური მოძრაობა“ და „ქართული ოცნება“, — უკანასკნელი 9 წლის განმავლობაში სხვა არჩევანი მოქალაქეებს თითქმის არ აქვს, თუმცა, ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში პოლიტიკური სურათი თითქოს შეიცვალა — მმართველ ძალას გამოეყო საკმაოდ რეიტინგული პოლიტიკოსი, გიორგი გახარიას სახით და ანალიტიკურ წრეებში აქტიურად განიხილება საკითხი, რომ მთავრობის ყოფილი მეთაური შესაძლოა, სწორედ ის მესამე ძალა გახდეს, რომელსაც ამომრჩეველთა საკმაოდ დიდი ნაწილი დიდი ხანია ელოდება.

წინასაარჩევნოდ ქუჩებში გამოჩნდა ე.წ. სისხლიანი ბანერები, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ „სისხლიან რეჟიმს“ გვახსენებს. ექსპერტთა ნაწილის შეფასებით, ეს იმდენჯერ ნაცადი ხერხია, დღეს შესაძლოა, ამან აღარ იმუშაოს, თუმცა, მეორე ნაწილი თვლის, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ „იმდენად უსუსურია“, რომ ის „ქართულ ოცნებას“ ვერც დღეს დააკლებს რამეს.

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** ბუმერანგის ეფექტზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ ხშირად იმ „9-წლიან სისხლიან რეჟიმზე“ აპელირება, შესაძლოა, თავად „ქართულ ოცნებას“ მიუბრუნდეს ცუდად. თუმცა, როგორც საყვარელიძემ თქვა, დღეს „ნაციონალური მოძრაობა“ იმდენად არაეფექტურია, ის მმართველი ძალის წინააღმდეგ ვერაფერს გააწყობს.

ხმების პროპორცია „ოცნებასა“ და „ნაციონალებს“ შორის დაახლოებით ისეთი იქნება, როგორიც ყველა იმ არჩევნებში, რაც აქამდე ჩატარებულა. ასეთი საკითხის დასმის დროს, „ოცნება“ თუ „ნაციონალები“ — ყოველთვის იმარჯვებდა „ოცნება.“ რაც შეეხება გახარიას, მთელი „კოზირი“ ამ შემთხვევაში ისაა, რომ მესამეა და დაახლოებით 50%-ს უახლოვდება ამომრჩეველთა ის რაოდენობა, რომელსაც არც „ოცნება“ უნდა და არც „ნაციონალები.“ ამ 50%-დან ხმების აღების ყველაზე მეტი შანსი გახარიას აქვს და ეს საკმაოდ დიდი პროცენტია, რომ არაფერი ვთქვათ იმ ხმებზე, რომელსაც გახარია „ოცნებიდან“ და „ნაციონალებიდან“ აიღებს“, — განაცხადა რამაზ საყვარელიძემ.

ანალიტიკოსი **პაატა ზაქარეიშვილი** აღნიშნავს, რომ საზოგადოება დაიღალა იმ „9-წლიანი რეჟიმის“ შეხსენებით, რაზეც, მისი თქმით, ქართველებმა 2012 წელს თქვეს უარი. როგორც ანალიტიკოსი ამბობს, „ქართული ოცნება“ „უუნარო ხელისუფალია,“ რომელსაც ბოლო 9 წლის განმავლობაში მოსახლეობისთვის კარგი არაფერი გაუკეთებია.

„როგორც ჩანს, „ქართულ ოცნებას“ აქვს იმედი, რომ ეს ბანერები ქუჩაში იმუშავებს, ამიტომ გადმოკიდეს. ძალიან წამგებიანი სლოგანია. ეს სისხლიანი 9 წელი დასრულდა 2012 წელს და დაასრულა კოალიცია „ქართულმა ოცნებამ.“ ეს იგივეა, ვისაუბროთ სტალინზე. ქართველმა ხალხმა უარი თქვა სისხლიან 9 წელიწადზე, 2012 წლის არჩევნებით. ასევე ციხეში წავიდნენ უგულავა, მერაბიშვილი, უამრავი ადამიანი, ახლა მეგის ქარდავა. ვიღაცებს მიუსაჯეს, სასამართლომ სწორად იმუშავა, მაგრამ „ქართულ ოცნებას“ ბოლო 9 წლის განმავლობაში ჰქონდა უამრავი საშუალება, ეს 9-წლიანი რეჟიმი მართლაც დაესრულებინა, მაგრამ არა!

„ნაცმოძრაობას“ არანაირი ავტორიტეტი არ გააჩნია, ყველა დასცინის და მაქსიმუმი, რაც შეიძლება აიღოს „ქართული ოცნების“ დახმარებით, 20-25%-ია. ერთი კვირა რომ არ ილაპარაკონ „ნაცმოძრაობაზე“ 12%-საც ვერ აიღებს. „ქართულ ოცნებას“ უნდა, რომ თავისი უსუსურობა და უუნარობა დამალოს სისხლიანი 9 წლის წინ. ეს არის მცდელობა, არაფერი აკეთოს და ამავე დროს ძალაუფლება ჰქონდეს ხელში. იმედია მაქვს, რომ მათი გათვლები ახლა მაინც არ გამართლდება.

რამდენ ხმას აიღებს ახლა გახარია, „ლელო“, „სტრატეგია აღმაშენებელი“, დიდი მნიშვნელობა აქვს — შეკრებენ თუ ვერა, მესამე ძალის ხმებს, და ამ შემთხვევაში გამოჩნდება, საზოგადოებაში რამდენად არის მოლოდინი ამ მესამე ძალის. 15%-მდე თუ აიღო ამ სამმა ძალამ ერთად, ე.ი. ეს არის მესამე ძალაზე ორიენტირებული ამომრჩეველი“, — განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა.

ნიკო ჩოხელი



მეგის ქარდავა: არავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას არ ვაპირებ

თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი უფროსი მეგის ქარდავა, რომლის უკრაინიდან საქართველოში ექსტრადირებაც 17 სექტემბერს მოხდა, მის მიმართ წაყენებულ ბრალდებებს პოლიტიკურად მოტივირებულს უწოდებს და ამბობს, რომ არავის წინააღმდეგ არ აპირებს ჩვენების მიცემას, — ამის შესახებ ქარდავამ საკუთარი ფეისბუქ გვერდის საშუალებით გაავრცელა განცხადება.

„ხელოვნურად აგორებული ვნებათაღელვის ჩასაცხრობად ხაზს ვუსმევ, არავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას არ ვაპირებ. ამ სიამოვნებას ვერ მივანიჭებ პოლიტიკურ პროსტიტუტებსა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის მტრებს. პუტინის ოლიგარქისგან საქართველოს დეოკუპაციის შემდგომ ზემოთხსენებული პოლიტიკური კლასის გავლენებისგან თავისუფალ, დამოუკიდებელი სასამართლოს პირობებში ყველა ბრალდებას გავცემ პასუხს და უკანონო განაჩენების გამომტანი მოსამართლეებისა და ცრუ მოწმეების პირით მოვასმენინებ ჩემს ოჯახსა და საზოგადოებას, თუ ვისი დავალებით სჩადიოდნენ ყოველივე იმ ისტორიულ რუსულ ბოროტებას, რომელიც არამხოლოდ ჩემთან მიმართებაში განახორციელეს, არამედ ჩვენი ოჯახების, ჩვენი შვილების, ჩვენი თანამემამულეებისა და ქართული სახელმწიფოს წინაშე“, — აცხადებს ქარდავა.

ამასთან, ქარდავა, რომელიც ადამიანების წამებისა და დამცირების არაერთ საქმეშია მსჯავრდებული, ამბობს, რომ მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები პოლიტიკურად მოტივირებულია და „რუსეთს წმენდს ნამუსს“. ამასთან, იმ შემთხვევაშიც კი, ეს ბრალდებები რომ სიმართლეს შეიცავდეს, ის ქვეყნის ინტერესებს მოემსახურებოდა: **„თუნდაც თუ დავუშვებთ და ცრუ ბრალდებების პარალელურად შეიცავდეს სიმართლეს, ისრაელის სახელმწიფოს უსაფრთხოების განმტკიცების პროცესში ისრაელის სპეცსამსახურების ჩვეული რუტინაა და ამიტომაც აქვს ისრაელს სახელწიფო, ამიტომაც არიან ებრაელები სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, პატრიოტი და ერთმანეთის გამტანი ხალხი, ამიტომაც ინარჩუნებს სახელმწიფოებრიობას გულით დიდი „პატარა“ ისრაელი მტრული ქვეყნების ალყაში, უბრალოდ არ არსებობს ისრაელის მტრების სასარგებლოდ ებრაელების გადადგმული მოღალატეობრივი ნაბიჯები, არ ღალატობენ საკუთარ ჯარისკაცებს, „მოსადის“ ოფიცრებს და უბრალოდ არ ჰყავთ ქვეყნის სათავეში საოკუპაციო რეჟიმი, რასაც არც არასოდეს დაუშვებენ“,** — ნათქვამია ქარდავას განცხადებაში.

მეგის ქარდავა წარსულში სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა შსს-სა და თავდაცვის სამინისტროებში და სასჯელაღსრულების სისტემაში. ქარდავას არაერთგზის ადანაშაულებდნენ ადამიანების წამებასა და დამცირებაში. მსგავსი ეპიზოდები სახალხო დამცველის რამდენიმე ანგარიშშიც მოხვდა. მეგის ქარდავამ საქართველო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებიდან მალევე დატოვა, 2013 წლის 13 თებერვლიდან კი საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ იძებნებოდა.

2017 წლის პირველ ნოემბერს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გაავრცელა ცნობა, რომ მისი შუამდგომლობის საფუძველზე, უკრაინის სამართალდამცავმა ორგანოებმა ინტერპოლის წითელი ცირკულარით საერთაშორისო ძებნილი ქარდავა დააკავეს. ამის შემდეგ ქართული მხარე მის ექსტრადირებას ითხოვს. 2018 წლის დეკემბერში უკრაინამ მეგის ქარდავას საექსტრადიციო პატიმრობა შინაპატიმრობით შეუცვალა.

ქარდავას წინააღმდეგ არაერთი გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანეს. მისჯილი აქვს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ დაუსწრებლად იხილებოდა რამდენიმე სხვა საქმეც, რომლებშიც ასევე ფიგურირებს ქარდავა. თავად ყოფილი მაღალჩინოსანი აღნიშნულ ბრალდებებს, როგორც ვთქვით, უარყოფს და პოლიტიკურად მოტივირებულად მიიჩნევს.

კახა კალაძე: დღეს ზუსტად ვიცი, რა სჭირდება ქალაქს

პაპანაქება ზაფხულის შემდეგ არანაკლებ ცხელი შემოდგომაა ერთიანად საქართველოში – კარს მომდგარმა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებმა ახლა უკვე სრულიად თვალნათლივ უნდა წარმოაჩინოს, თუ ვის უჭერს მხარს ძვეშნის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი – „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას თუ მის უაღრესად ჭრელ და არაერთგვაროვან ოპოზიციას. დიდი ვნებათაღელვაა დედაქალაქშიც, ვინაიდან თბილისის მერის თანამდებობა არა მხოლოდ უმნიშვნელოვანესი სამეურნეო პოსტია, არამედ არანაკლებ წონადი პოლიტიკური პოზიციაცაა.

უწინარესად, აღსანიშნავია, რომ 2018-2021 წლებში თბილისის მერიის მიერ **განხორციელებული და მიმდინარე პროექტების ერთიანი ბიუჯეტია 4 მილიარდ 791 მილიონ ლარზე მეტი,** მათ შორის ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად გამოყოფილია მილიარდ 937,8 მილიონი ლარი, ხოლო სოციალური პროექტებისთვის – დაახლოებით მილიარდ 344 მილიონი ლარი. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ თბილისის წლევანდელმა ბიუჯეტმა, თავდაპირველად განსაზღვრული მილიარდი ლარის ნაცვლად დაახლოებით მილიარდ 192,5 მილიონი ლარი შეადგინა.

დედაქალაქის მერის თავკაცობის ოთხწლიანი ვადის განმავლობაში, კახა კალაძის უმთავრესი პრიორიტეტი **ურბანული პოლიტიკა** იყო, რომლის გატარების უმნიშვნელოვანესი ასპექტია თბილისის განვითარების ახალი გეგმის დამტკიცება. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ ამ ხნის მანძილზე აღდგა თბილისის ისტორიული ნაწილის დამცავი ზონა, აიკრძალა სამშენებლო კოეფიციენტების გადამეტება, არ გაცემულა არც ერთი სამშენებლო ნებართვა სკვერების, პარკებისა და სპორტული მოედნების სივრცეში. მეტიც., შეიქმნა ხუთი ახალი საპარკე სივრცე და განისაზღვრა განაშენიანების რეგულირების გეგმის 11 არეალი, 466 ავტოფარეხის ნაცვლად მოეწყო 34 სკვერი... ამჟამად მიმდინარეობს ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის, კადეტთა კორპუსისა და აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმის რეაბილიტაცია.

თბილისის მერად კახა კალაძის ყოფნის ოთხი წლის მანძილზე, დედაქალაქის მერიამ დონორი ორგანიზაციებისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან მთლიანად 284 მილიონი ლარის დაფინანსება მიიღო, მათ შორის ლომის წილი – 100 მილიონი ლარი – თბილისის გარე განათების ინვესტიციაა. ცალკეა აღსანიშნავი კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული პირების დასაკმაყოფილებლად მოზიდული ინვესტიცია 150 მილიონი დოლარის ოდენობით. გარდა ამისა, დაუსრულებელი მშენებლობებისთვის დაწესდა სამშენებლო და საფინანსო შეღავათები.

მერიის **ეკონომიკური პოლიტიკის** ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება წლების მანძილზე მცირე ბიზნესის მხარდაჭერაა, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა ასამდე ბაზრობა და შვიდი ფესტივალი.

ოთხი წლის განმავლობაში, თბილისის მერიისა და მისი ხელმძღვანელის ყურადღების ფოკუსში **დედაქალაქის ინფრასტრუქტურული განვითარების პოლიტიკა** იყო. ამ ხნის მანძილზე კაპიტალურად შეკეთდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა მთლიანად 5,4 მილიონი კვადრატული მეტრი საავტომობილო გზის საფარს, აღდგენითი სამუშაოები ჩატარდა 900-ზე მეტ, ხოლო საგზაო სამუშაოები – 422 ქუჩაზე. ამასთან, 200 მილიონი ლარი დაიხარჯა „თბილისის განვითარების ფონდის“ პროექტ „ახალი ტფილისის“ განხორციელებაზე, რა დროსაც მოხდა მთლიანად 93 ობიექტის შეკეთება, მათ შორის 74 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რეაბილიტაცია.

საგანგებოდ ვიტყვით, რომ რეაბილიტაცია მოიცავს არა მხოლოდ ასფალტის საფარის, არამედ მიწისზედა და მიწისქვეშა კომუნიკაციების შეცვლას, ელექტროსადენების მიწის ქვეშ განთავსებას, ახალი გამწვანებული არეალების შემატებასა და გარეგანათების ახალი ქსელების გამართვას, წყალარინების და წყალმომარაგების სისტემების განახლება-შეკეთებას და სხვ.

განვლილი ოთხი წლის განმავლობაში ძალიან დიდი მუშაობა იქნა გაწეული დედაქალაქში **სატრანსპორტო მოძრაობის მოწესრიგების სფეროში.** ადგილობრივ ავტოპარკში მოხდა მოძველებული ავტობუსების 680 ახალი ერთეულით ჩანაცვლება, დაგეგმილია კიდევ რამდენიმე ასეულის შემატება: დამატებით შეისყიდა 180 ერთეული 8-მეტრიანი და 200 ერთეული 18-მეტრიანი ავტობუსი. მოეწყო საზოგადოებრივი ტრანსპორტის სწრაფი გადაადგილების დერეფნები (მთლიანად 34,5 კილომეტრი სიგრძის), ავტობუსების მოცდის დრო შემცირდა 7 წუთამდე. მიმდინარე წლის ბოლოს თბილისს მცირე გამონაბოლქვის ევროპული სტანდარტის ასი ახალი მიკროავტობუსი ეყოლება, რომლებშიც გადახდის ელექტრონული სისტემა იქნება დანერგილი.

მნიშვნელოვანი მოდერნიზება განიცადა მეტროპოლიტენმა: წლეულს კაპიტალურად შეკეთდა 20, მომდევნო წლებში კი განახლდება კიდევ 40 ვაგონი, მოძრაობა დაიწყო 12-მა ახალმა შემადგენლობამ 79 ვაგონით. საზოგადოებრივ ტრანსპორტში მოქმედ გადახდის ერთიან სისტემაში ასევე ჩაერთო ახალი მიკროავტობუსები. ამოქმედდა საბანკო ბარათებით გადახდა ნებისმიერი ტიპის ტრანსპორტში (მეტროში, ავტობუსში, ახალ მიკროავტობუსში). პარკირების ოპერატორის ფუნქცია გადაეცა თბილისის სატრანსპორტო კომპანიას.

უდიდესი ყურადღება **ექცეოდა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროებში** საზრიანი პოლიტიკის გატარებას. კერძოდ, ოთხ წელიწადში განხორციელდა 700 კულტურული განვითარებისა და 320 საგანმანათლებლო და ახალგაზრდული, ასევე სპორტული პროექტი და ინიციატივა. მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველ და წარმატებულ სტუდენტებს, მათ შორის სწავლის საფასური დაუფინანსდა 5000 სტუდენტს, მერიის სტიპენდია დაენიშნა 1400 მაგისტრანტს, 4 ათასმა კი პროგრამის „ისწავლე და დასაქმდის“ პროფესიული მომზადება გაიარა.

შთამბეჭდავია **ინკლუზიური პროგრამა:** ადაპტირებული ტრანსპორტი ემსახურება 30 საჯარო სკოლის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებსა და პარასპორტსმენებს, დაფინანსდა 40 სახელოვნებო და საგანმანათლებლო პროექტი.

11 მილიონი ლარია დახარჯული **არაფორმალური განათლების** მხარდასაჭერად მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში, 2,3 მილიონი – თბილისის სხვადასხვა რაიონში მოსწავლე-ახალგაზრდობის ცხრა სასახლისთვის, კიდევ 2,4 მილიონი ლარი – თბილისის 34 სახელოვნებო სკოლისთვის. გარდა ამისა, დედაქალაქის მუზეუმებისთვის გამოყოფილია 6 მილიონი ლარი.

გარემოსდაცვითი პოლიტიკის ჩარჩოებში 2018-2021 წლებში თბილისის მერიის ძალისხმევით განახლდა 100 ჰექტარი სარეკრეაციო სივრცე, მათ შორის, მოეწყო ათასი სკვერი, 15 პარკი და 60 მწვანე კუნძული, ამასთან, დაირგო 28 ათასი მწვანე ნარგავი, რაშიც დაიხარჯა 195 მილიონი ლარი. ასევე მოეწყო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 23 შადრევანს. ოთხ წელიწადში რეაბილიტაცია ჩაუტარდა მოსკოვის პროსპექტზე ორკილომეტრიან შუა ზოლს, ვეტერანთა კულტურისა და დასვენების, ვასო გოძიაშვილის სახელობის, მზიურის, „ადამიანი და მზის“ პარკებს, დედაენისა და 9 მარტის ბაღებს. ამჟამად მიმდინარეობს რამდენიმე ახალი პარკის მშენებლობა, მათ შორისაა ცენტრალური-იპოდრომი, ვარკეთილისა და თემქის ხევების, მთაწმინდის ფერდობის, ვაკისა და რიგის პარკებისა და ბულვარის მოწყობა.

რაც შეეხება უმნიშვნელოვანეს **ჯანდაცვისა და სოციალურ პოლიტიკას,** ბოლო წლების ყველაზე მრისხანე გამოწვევა საზოგადოებას კოვიდ-19-ის ეპიდემიით მოევლინა, რომელთან ბრძოლის ფარგლებში თბილისის მერიამ ათას ბენეფიციარზე 2 მილიონი ლარი გასცა. ოთხი წლის განმავლობაში 28 პროგრამის განხორციელებაზე დაიხარჯა 228,3 მილიონი ლარი. მათ შორისაა ტრანსპლანტაციის პროგრამა, ღვიძლის, ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გადანერგვა, ასევე დაავადებათა სკრინინგი, გაფანტული სკლეროზის მედიკამენტებისა. გათვალისწინებული იყო ბაგა-ბაღების მართვის, სოციალური დაცვის, აგრეთვე კოოპერატიული ბინათმშენებლობისა და დაუმთავრებელი მშენებლობების პროგრამები.

ერთ, თუგინდ ვრცელ საგაზეთო მიმოხილვაში, ცხადია, შეუძლებელია მერიისა და მისი თავკაცის მიერ გაწეული შრომის უბრალო ჩამოთვლაც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ, თავდაუზოგავ გარჯაზე.

– დღეს თამამად შემიძლია ვთქვა, რომ თბილისი არის უფრო მწვანე, უფრო ლამაზი, უფრო ჯანსაღი და თანამედროვე ქალაქი, ვიდრე იყო ოთხი წლის წინ...

თბილისს ჯერ კიდევ ძალიან ბევრი პრობლემა აქვს დასაძლევი, მეორე ვადით მერობის კანდიდატად წარდგენით, მეძლევა შესაძლებლობა დაწყებული რეფორმები თავად გავაგრძელო და სიცოცხლით სავსე ქალაქში სიცოცხლით გავავსოთ თითოეული თბილისური უბანი თუ ეზო. ყველა ის სიკეთე, რომელიც ამ წლების მანძილზე შეიქმნა ქალაქის მასშტაბით, მივიტანოთ თითოეულ უბანში, თითოეულ მოქალაქესთან და თბილისის ყველა უბანი გავხადოთ კიდევ უფრო მწვანე, კიდევ უფრო ლამაზი და სიცოცხლით სავსე, – ამბობს თბილისის მოქმედი და, იმედია, მომავალი, კიდევ ერთი ვადით კვლავ ასარჩევი მერი კახა კალაძე და ამ მისწრაფებათა ფრთაშესხმაში სულითა და გულით წარმატება გვინდა ვუსურვოთ.

ოთარ ტურაბელიძე

სინახალი ინფორმაცია

მუნიციპალური ავტოპარკის განახლების პროექტის ფარგლებში შესყიდული, ISUZU-ს მარკის 180 ერთეული, 8-მეტრიანი ავტობუსიდან და Ford-ის მარკის 300 ერთეული მიკროავტობუსიდან ნაწილი უკვე თბილისშია. ახალი საზოგადოებრივი ტრანსპორტი დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ გუშინ თბილისის მოსახლეობას წარუდგინა.

კახა კალაძის თქმით, 35 ახალი ავტობუსი მოსახლეობას უკვე ზეგიდან მოემსახურება.

„შეიძლება ითქვას, რომ ყვითელი ავტობუსების პარკი სრულად არის განახლებული, თუმცა, ჩვენ მხოლოდ ამით არ შემოვიფარგლებით და მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ დამატებით 380 ერთეული ავტობუსი შემოვიყვანოთ. აქედან 180 ერთეული იქნება 8-მეტრიანი ავტობუსი, რომელიც აქ არის წარმოდგენილი. დღეს უკვე 35 ერთეული შემოვიდა და ზეგიდან მოემსახურება თბილისის მოსახლეობას. დანარჩენი თებერვლამდე სრულად იქნება მოწოდებული. მომავალ წელს ვაპირებთ შევიძინოთ 200 ერთეული 18-მეტრიანი ავტობუსი, რომელიც კონკრეტულ მარშრუტებზე იმოძრავებს. ცხადია, ეს გადაწყვეტილება მიღებულია ქუჩების სივიწროვიდან გამომდინარე. ყველა ქუჩაზე შეუძლებელი იქნება 18-მეტრიანი ავტობუსის გადაადგილება და სპეციალურად გამოყოფილია კონკრეტული ხაზები, სადაც ისინი იმოძრავებენ“, – აღნიშნა თბილისის მერმა.

მისივე თქმით, იმ ქუჩებზე, სადაც მოუხერხებელია ავტობუსების გადაადგილება, ახალი მიკროავტობუსები იმოძრავებენ.

მესტია - „ჩამკვდარია კულტურა, სპორტი, ახალგაზრდებისთვის, ბავშვებისთვის არაფერი კეთდება, მათზე არავინ ზრუნავს“

ვისაც სვანეთში ერთხელ მაინც ფეხი დაუდგამს, შეუძლებელია ეს ჯადოსნური მხარე დაავიწყდეს. ალბათ იშვიათია მსოფლიოში ადგილი, სადაც ასეთი გლაპრული სილამაზე ბუნებრივად არსებობს. აქაურ გარემოსთან ჰარმონიულად შერწყმული უძველესი კულტურის ძეგლები, ეკლესია-მონასტრები, მაჩუბები და ცადაწვდილი კოშკები ისეთ ერთიან კომპოზიციას ქმნის, რომ პირველი დანახვისას აღფრთოვანებისგან ერთგვარ ემოციურ შოკს განიცდი.

რომელ სოფელშიც არ უნდა მოხვდე, შენს წინ ისეთი პეიზაჟები იშლება, ისეთ დაუჯერებელ სილამაზეს ეჩეხები, ფიქრობ, ამაზე უკეთეს ადგილას სად უნდა მოხვდე, ამაზე სულისშემძვრელი რა უნდა ნახო. გადახვალ მეორე სოფელში და შენს წინ ისეთი თვალწარმტაცი სანახაობა გადაიშლება, ახლა აქ ფიქრობ, ამაზე უკეთესი მეტი რაღა უნდა ნახო?.. გარშემო იყურები და დაჯერება გიჭირს, რომ ეს გლაპრული სილამაზე შენია, შენს ქვეყანას ეკუთვნის...

მერე აღფრთოვანებას სინანული და ტკივილი გიცვლის, იმის გამო, რომ ხედავ ამ უნიკალურ მხარეს პატრონობა აკლია. ვისაც ხალხმა და ხელისუფლებამ სვანეთზე ზრუნვა ანდო, მას არ უვლის, არ ცდილობს, აქ ცხოვრება უკეთესი გახადოს, სიცოცხლე დუღდეს, ადგილობრივები აქედან წასვლას კი არ ცდილობდნენ, თუ სადმე არიან, ყველა უკან დაბრუნდეს, ყველამ აქ ააწყოს თავისი საქმე, ყველა გამდიდრდეს. სვანეთს ამის პოტენციალი ნამდვილად აქვს. მხოლოდ პატარა ხელის შეწყობა სჭირდება მათგან, ვისი პირდაპირი მოვალეობა ქვეყანაზე, თავის მხარეზე ზრუნვაა, ვისაც ამის უფლებამოსილება გააჩნია.

ძალიან რთული მოსასმენია, როცა სოფლებში მცხოვრები ადამიანები გეუბნებიან, რომ მათი პრობლემების მოგვარებაზე არავინ ზრუნავს, რომ წლებია ითხოვენ ცენტრალური და სოფლის გზების გაკეთებას, კანალიზაციის სისტემის მოწყობას, სკოლების და ბაღების მშენებლობას ან რეაბილიტაციას და მათ თხოვნას არავინ ეხმაურება.

სრულიად მიუვალია ცენტრალური გზა სვანეთის ერთ-ერთ დიდ სოფელ ჭუბერში, სადაც ნესკრა-ჰესი შენდება და სადაც ხე-ტყის გადამამუშავებელი მრავალი საწარმო არსებობს.

ადგილობრივების თქმით, ნესკრა-ჰესის მშენებელ კომპანიასთან შეთანხმებული იყო, რომ სოფლის ინფრასტრუქტურის მოწყობის საკითხი მას უნდა მოეგვარებინა. როცა მოსახლეობამ მათგან ამ პირობის შესრულება მოითხოვა, ადმინისტრაციაში უთხრეს, რომ ჭუბერში საგზაო და სხვა ინფრასტრუქტურის მოსაწყობად ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ანგარიშზე მათმა კომპანიამ 6 მილიონი ლარი კარგა ხნის წინ ჩარიცხა. თუმცა ჭუბერლებმა ამ თანხის მიმღებს ვერ მიაკვლიეს და მათი ყველა პრობლემაც ისევ მოუგვარებელი დარჩა.

ეცერი, ცხუმარი, წვიმრი, ადიში, იფარი, ნებისმიერ ამ სოფელში შესვლისთანავე, პირველი, რაც თვალში გეცემა, უგზოობაა. არსად, არც ცენტრალური, არც შიდა გზა დაგებული არ არის. ცხუმარის თემში, სოფელი გვალდერი, რომელიც ცხუმარსა და ეცერს ერთმანეთთან აკავშირებდა, უგზოობის გამო, საერთოდ დაიცალა. არადა, როგორც ადგილობრივები ამბობენ, მათ თემში ყველაზე შემოსავლიანი სოფელი ყოფილა, სადაც სოფლის მეურნეობა კარგად იყო განვითარებული.

– თუ ასე გაგრძელდა, გზის საკითხი თუ არ მოგვარდა, ინფრასტრუქტურა თუ არ მოწესრიგდა, მომავალი თაობების აღზრდა-განვითარების საშუალება თუ არ მოგვეცა, ნელ-ნელა ყველა სოფელი დაიცლებაო. – გულდაწყვეტით გვეუბნებიან ყველგან. მომავალ თაობებთან დაკავშირებითაც მთელ სვანეთში ერთნაირი ტენდენცია იკვეთება. მათ განვითარების არავითარი საშუალება არა აქვთ.

– კულტურა, სპორტი, ყველაფერი ჩამკვდარია, ახალგაზრდებისთვის, ბავშვებისთვის არაფერი კეთდება, მათზე არავინ ზრუნავს. – გვეუბნებიან სვანეთში – ადრე ყველგან, ყველა სოფელში გვქონდა სპორტსკოლა, გვყავდა მწვრთნელები, ბავშვები სხვადასხვა სპორტულ სახეობებში ემზადებოდნენ და ქვეყნის მასშტაბით მრავალ სპორტულ ასპარეზობაში მონაწილეობდნენ, იმარჯვებდნენ, პირველ ადგილებზე გადიოდნენ. რამდენი სპორტსმენი აღუზრდია სვანეთს, რამდენი ჩემპიონი გვყოლია. დღეს არაფერი კეთდება. ვინც რეალურად საქმის გამკეთებელია, იმას ხელს უშლიან, სამაგიეროდ სპორტის სფეროშიც თავისიანებს ასაქმებენ.

როგორც შევიტყვეთ, მესტიის მუნიციპალიტეტში მწვრთნელის პოზიციაზე 136 ადამიანია გაფორმებული. მათ შორის, სერფერის შტატიც კი აქვთ გახსნილი, სპორტული სკოლები კი უმეტეს სოფლებში გაუქმებულია.

მაგალითად, რამდენიმე წლის წინ ჭუბერს თავისი ფრენბურთის გუნდი ჰყავდა, რომელსაც ახალგაზრდა მწვრთნელი ავარჯიშებდა.

– მინიმალური ხელფასის გარდა, არანაირი ხელშეწყობა არ ჰქონია, მაგრამ თავის ხარჯებით ბევრჯერ წაუყვანია ბავშვები ვარჯიშებზე, ტურნირებზე, მესტიაში, ზუგდიდში. ბევრჯერ პირველი ადგილიც აიღეს, მაგრამ წახალისებას და ფულად ჯილდოს ვინ ჩივის, მადლობაც არავის უთქვამს. ბოლოს სპორტსკოლა საერთოდ დაანგრიეს, გუნდიც დაიშალა და მწვრთნელიც შეეშვა თავის საქმეს. – გვეუბნებიან ჭუბერის მცხოვრებლები.

როგორც ირკვევა, დანგრეული სპორტსკოლის სანაცვლოდ, ნენსკრა-ჰესის ადმინისტრაციამ ახალი სპორტსკოლა ააშენა, თუმცა დღემდე არ არის ექსპლუატაციაში, რადგან მიღება-ჩაბარების ოქმი ვერ შედგა.

მიღება-ჩაბარების ოქმი კი შედგა, მაგრამ დღემდე გაურკვეველია სპორტსკოლის ბედი მულახში, რომლის მშენებლობა ჯერ კიდევ 2016 წელს დასრულდა და რომელშიც 2,5 მილიონი ლარი დაიხარჯა.

ეს სკოლა ძველი სპორტსკოლის ბაზაზე, უნიკალურ გარემოში, საკურორტო ზონაშია აშენებული და ინფრასტრუქტურაც უმაღლეს დონეზეა მოწყობილი. სკოლას აქვს დიდი ეზო, სპორტული მოედანი, აუზი, საუნა, გასახდელები, საშხაპეები, სავარჯიშო დარბაზი ყველა ინვენტარით.

სპეციალური სამეკლდეურო სავარჯიშო კედელი, პოლონეთიდან ჩამოიტანეს და მასში 300 ათასი ლარი დაიხარჯა. აქვთ თანამედროვე, საუკეთესო ხარისხის ტატამები.

შენობაში მოწყობილია ასევე საძინებლები, რაც საშუალებას იძლევა, არამარტო ადგილობრივმა, არამედ ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან ან ქვეყნის გარედან ჩამოსულმა სპორტსმენებმაც ისარგებლონ ამ კომპლექსით.

ამ სპორტსკოლაში მთელი წლის განმავლობაში შეიძლება შეკრებების და შეჯიბრებების გამართვა, თუმცა სრულიად გაუგებარი მიზეზების გამო, 5 წელია, მისი კარი არავის შეუღია.

სპორტის გარდა, არ არსებობს მოსწავლე-ახალგაზრდობის დაინტერესება კულტურული ღონისძიებებით, არც ერთ სოფელში არ არის მუსიკალური, სახელოვნებო სკოლები, სადაც ბავშვები სიმღერას და ცეკვას ისწავლიან.

არამარტო სახელოვნებო, ზოგან სასკოლო დაწესებულებაც არა აქვთ, რაც საბოლოოდ იმის მიზეზი ხდება, რომ ადგილობრივები სვანეთის დატოვებას ცდილობენ.

– აქ ჩვენი შვილების მომავალს, მათი განვითარების საშუალებას ვერ ვხედავთ, ამიტომ თანდათან იძულებული გავხდებით, აქედან წავიდეთ. – ამბობენ ერთმანეთში შეთანხმებულივით. არის შემთხვევები, უმაღლესგანათლებამიღებული ახალგაზრდები ბრუნდებიან სვანეთში, სურთ, აქ დასაქმდნენ და აქ იცხოვრონ, მაგრამ ვერაფერს პოულობენ, მაშინ, როცა ნათესაური კავშირებით მათზე ბევრად ნაკლები კომპეტენციის ადამიანები არიან დასაქმებული ყველგან.

არის კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც აქაურების თქმით, მალე მთელი საქართველოს პრობლემა იქნება.

სოფლად მცხოვრები ახალგაზრდობის უმეტესობას აქამდე თუ მარტო მოსაწევი აინტერესებდა, დღეს მათი ინტერესი გაიზარდა და მაინერების და ბიტკოინების მოპოვებაზე არიან გადასულები.

ყველას აქვს მაინერების პატარ-პატარა საწარმო, რომელთაც არავინ აკონტროლებს. ეს იწვევს ელექტროენერგიის დიდ დანახარჯს, რაც თავისთავად სახელმწიფოს აწვება კისერზე!

ამის გამო, სასტუმროებით გავსებულ მესტიაში შუქიც ხშირად ქრება და მასპინძლებსაც და სტუმრებსაც დისკომფორტი ექმნებათ.

ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე დიდ და საკვანძო ტურისტულ ზონაში, მოუგვარებელია სამედიცინო მომსახურების საკითხიც. მესტიაში არსებობს ერთადერთი საავადმყოფო, რომელიც მარტივი სამედიცინო დახმარების გარდა, ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემების მქონე ადამიანებს ვერაფრით დაეხმარება.

რაც ყველაზე ნიშანდობლივია, მთიან კურორტზე არ ჰყავთ ტრავმატოლოგი, არ ჰყავთ ქირურგი, არ ემსახურებათ საკუთარი რეანიმობილი, ჩამოტანილია დიალიზის აპარატი, გადამზადებულია ექთნები და ვერ ხსნიან დიალიზის კაბინეტს. ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საჭიროებაზე ადგილობრივები იძულებულნი არიან ზუგდიდში ან ქუთაისში ჩავიდნენ.

ერთადერთი, რაც მესტიის მუნიციპალიტეტში შენდება, სასტუმროებია. ვინაიდან მესტიის განვითარების ერთიანი გეგმა დამტკიცებული არაა, ადგილობრივები შიშობენ, რომ ეს მშენებლობები მალე ქაოტურ სახეს მიიღებს, რაც უკვე შესამჩნევია და მალე აქაურ იერ-სახეს სერიოზული ზიანი მიადგება.

როგორც საქმეში ჩახედული ადამიანები გვეუბნებიან, მესტიის განვითარების გენერალური გეგმა კარგა ხანია, მზად არის. მის შექმნაში მრავალი სპეციალისტი მონაწილეობდა და მრავალი მილიონი ლარიც დაიხარჯა, მაგრამ მავანთა სურვილით, აქამდე დაუმტკიცებლად დევს თაროზე. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მისი საკითხი არც განუხილავს, რადგან იციან, ამ გეგმის ამოქმედების შემდეგ აქ ვერაფერს ისეთს ვერ ააშენებენ, რაც მესტიას იერ-სახეს არ დაუკარგავს.

მესტიის იერ-სახეს რაც შეეხება, დღემდე ხელი არავინ ახლო მიხეილ სააკაშვილის სურვილით აშენებულ სასტუმრო „პიაცას“ შენობას, რომელმაც მესტიის ცენტრალურ მოედანს არა მარტო სახე დაუმახინჯა, არამედ ფუნქციაც მოუშალა.

როგორც ადგილობრივები ამბობენ, ეს იყო ღია მოედანი, საიდანაც ერთნაირად კარგად ჩანდა თეთნულდი, მთელი თავისი ბრწყინვალებით და მესტიის ფერდებს შეფენილი სვანური კოშკები. იქ მაღალსართულიანი შუშებიანი შენობის ჩადგმის შემდეგ, ეს ხედი მთლიანად ჩაიკეტა. ამას გარდა, „პიაცას“ არსებობამ საუკუნოვანი სვანური ტრადიციული რიტუალის ჩატარებასაც შეუშალა ხელი.

მესტიაში ყოველწლიურად იმართება დღესასწაული ჰელიში (ჰლიშ), რომლის დროსაც ხუთი გვარის წარმომადგენლებს (ვინც სვანეთში ამ დროშის მსახურებად ითვლებიან), ცხენებზე ამხედრებულებს გამოაქვთ სვანეთის დროშა, ლემი და მესტიას ჯირითით სამ წრეს უვლიან.

ადგილობრივების თქმით, ნესკრა-ჰესის მშენებელ კომპანიასთან შეთანხმებული იყო, რომ სოფლის ინფრასტრუქტურის მოწყობის საკითხი მას უნდა მოეგვარებინა. როცა მოსახლეობამ მათგან ამ პირობის შესრულება მოითხოვა, ადმინისტრაციაში უთხრეს, რომ ჭუბერში საგზაო და სხვა ინფრასტრუქტურის მოსაწყობად ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ანგარიშზე მათმა კომპანიამ 6 მილიონი ლარი კარგა ხნის წინ ჩარიცხა. თუმცა ჭუბერლებმა ამ თანხის მიმღებს ვერ მიაკვლიეს და მათი ყველა პრობლემაც ისევ მოუგვარებელი დარჩა.

იხ. 7 გვ.

საით მიცურავს აფხაზური ნავი?!

უკვე შორეულ 2008-ში, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ კოსოვო გაეროს წევრმა 8 ათეულზე მეტმა ქვეყანამ აღიარა, მათ შორის – აშშ-მა და ევროკავშირის სახელმწიფოებმაც. უცნობია, ანალოგიური შედეგის მიღწევის იმედი ჰქონდა მოსკოვს, როცა რამდენიმე თვეში აფხაზეთისა და ე.წ. „სახმრეთ ოსეთის“ აღიარების შესახებ თავის გადაწყვეტილებას აცხადებდა (დასავლეთისთვის კოსოვოს გამო სამაგიეროს გადასახდელად, ხსენებულ ტერიტორიებზე თავისი ჯარის დატოვების გასამართლებლად, თუ ერთდროულად ორივე ამ მიზნით), მაგრამ საერთაშორისო აღიარების ხანგრძლივი კამპანია, რომელიც იმხანად პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევის ამ განცხადებას მოჰყვა, ფაქტობრივი კრახით დასრულდა: ქვეყნები – აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“ მსოფლიო რუქაზე დღემდე არ არსებობს, ხოლო იმ სახელმწიფოების სია, რომლებმაც მოსკოვის მაგალითს მიბაძეს, 13 წლის თავზე მხოლოდ 4 პუნქტით შემოიფარგლება: ნიკარაგუა, ვენესუელა, ნაურუ და სირია. სამართლიანობისთვის ისიც ვთქვათ, რომ ამ სიაში იყვნენ კუნძულოვანი ვანუატუ და ტუვალუც, მაგრამ ისინი დროულად მოეგნენ გონს – როგორც ჩანს, გადაწყვიტეს, საეჭვო ავანტიურებში აღარ ჩაბმულიყვნენ და შარისგან შორს დაეჭირათ თავი.

ARADA, მოსკოვს სოხუმისა და ცხინვალის ფართო საერთაშორისო აღიარების მიღწევის სურვილი თითქოს დიდი ჰქონდა. შესაბამის საერთაშორისო კამპანიასაც იგი თითქოს დიდი მონდომებით აწარმოებდა, პირველ ხანებში – დიპლომატიურთან ერთად წმინდად ფინანსური ბერკეტებითაც კი: მართალია, მოსკოვში, ცხინვალსა და სოხუმში ამას საჯაროდ ამ დრომდე არ აღიარებენ (ამის უარყოფა ამასწინანდელ ინტერვიუში აფხაზეთის დე ფაქტო უშიშროების საბჭოს მდივანმა სერგეი შამბამაც სცადა), მაგრამ ფაქტები ჯიუტი რამაა და იმაში მდგომარეობს, რომ ვენესუელის ლიდერი უგო ჩავესი 2009 წელს სოხუმისა და ცხინვალის აღიარებაზე მხოლოდ მას შემდეგ წავიდა, რაც მოსკოვთან შეიარაღების მიწოდების საკითხზე არქი-ხელსაყრელი ხელშეკრულება გააფორმა, წყნარი ოკეანის კუნძულოვანი მინი-სახელმწიფო ნაურუ კი – მოსკოვისგან 50 მლნ დოლარის ოდენობის „დახმარების“ მიღების შემდეგ... მათ გარდა, „ამღიარებლების“ მოკლე სიაშია რუსეთის დიდი მეგობარი, ნიკარაგუას ოდიოზური პრეზიდენტი დანიელ ორტეგა, რომელმაც მოსკოვის მაგალითს პირველმა – იმავე 2008 წელს მიბაძა, და ბოლოს – ნახევრადდანგრეული სირიის ნახევრადლეგიტიმური პრეზიდენტი ბაშარ ალ ასადი, რომელმაც იგივე ბევრად გვიან – 2018-ში, ისევ და ისევ მოსკოვის „მრავალრიცხოვანი თხოვნების“ საფუძველზე, უბრალოდ, გამოუვალი მდგომარეობის გამო გააკეთეს.

ახლა „სტრატეგიული მეგობარი“ სოხუმსა და ცხინვალს მისივე ინიციატივით ჩამოსაყალიბებელ სამოკავშირეო სახელმწიფოში – ერთგვარ სსრკ-2-ში ხედავს – მართალია, ყოფილ სსრკ-სთან შედარებით, ბევრად მცირეში, მაგრამ სამაგიეროდ სუბიექტების ბევრად უფრო მჭიდრო ინტეგრაციით. დანარჩენი ადგილები ამ ახალ ერთობაში, მოსკოვის გათვლით, უნდა შეავსონ სხვა ოკუპირებულებმა – დნესტრისპირეთმა, დონეცკისა და ლუგანსკის ე.წ. „სახალხო რესპუბლიკებმა“, შესაძლოა – სომხეთმაც, რომელიც, კრემლის ხედვით, ყარაბაღის მეორე ომის შემდეგ „დასუსტებულია და დემორალიზებული“ და, რაღა თქმა უნდა, ლუკაშენკოს ბელარუსმა.

კრემლის ეს გეგმა სიამოვნებით შეიტანა თავის წინასაარჩევნო პროგრამებში რუსული პარტიებისა და ცალკეული პოლიტიკური მოღვაწეების მთელმა რიგმა. ამასწინათ კი დაიწყო მისი აქტიური ლობირება ბელარუსის საჯარო სივრცეშიც: 7 სექტემბერს მინსკში, რესპუბლიკური საზოგადოებრივი გაერთიანება „სამოქალაქო ერთობის“ ორგკომიტეტის ოფისში გაიმართა ანალიტიკური მოხსენების პრეზენტაცია სახელწოდებით „ბელარუსია და ყირიმი. დროა, ვაღიაროთ რეალობა“. მისმა ავტორებმა ასევე ბელარუსის მიერ დნესტრისპირეთის, დონეცკისა და ლუგანსკის „სახალხო რესპუბლიკების“, აფხაზეთის და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ აღიარების საკითხები დააყენეს და „სამოკავშირეო სახელმწიფოში“ მათი გაწევრიანების ლობირების „აუცილებლობას“ გაუსვეს ხაზი.

საგრძნობლად სეკვესტრირებული „რუსული სამყარო“ სახელად „სამოკავშირეო სახელმწიფო“...

რაც შეეხება „სსრკ-2“-ის სხვა პოტენციურ წევრებს, ლუგანსკის, დონეცკის ე.წ. „სახალხო რესპუბლიკებთან“ და „სამხრეთ ოსეთთან“ დაკავშირებით საკითხი პრაქტიკულად გადაჭრილია: რუსეთმა იქ უკვე დიდი ხანია, ჩაატარა მისთვის საჭირო რეფერენდუმები ხელსაყრელი შედეგების გამოცხადებითურთ, მის მიერ ადგილებზე გამწესებული ხელმძღვანელები კი პერიოდულად საჯაროდ ლოცულობენ კრემლზე, ხანდახან – არა უბრალოდ „სამოკავშირეო სახელმწიფოში“, არამედ პირდაპირ რუსეთის შემადგენლობაში შეყვანის ხვეწნით. ამ საქმეში ერთ-ერთი მოწინავე „სამხრეთ ოსეთის“ ლიდერი ანატოლი ბიბილოვია. რამდენიმე დღის წინ დონბასში, „დონბასის გათავისუფლების 78-ე წლისთავისადმი“ მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას მან საკუთარ თავსაც კი „აჯობა“ და განაცხადა: „დღეს აქ სხვადასხვა ომების მონაწილეები შევიკრიბეთ – ავღანეთის, დნესტრისპირეთის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, რათა ერთად ვაჩვენოთ, რომ არსებობს სული, რომელსაც ვერ გატეხ და რომელიც ყველას გვაერთიანებს, გვაძლევს ძალას, ეროვნებისა და რელიგიური მრწამსის განურჩევლად. ეს რუსული სულია, რუსული სამყარო, რომლისთვისაც ვიბრძვით და ამ თვალსაზრისით თითოეული ჩვენგანი რუსიაო“.

ანდრანიკ მიგრანიანი:

ვინც რუსეთთან ერთად არაა, ან სუსტია და წაგებული (დასავლეთი), ან გარეწარი (თურქეთი და აზერბაიჯანი), ან ხვალზეგ საერთოდაც აღიგვება პირისაგან მიწისა (საქართველო).

პუტინს შესაძლოა, „რუსულ სამყაროზე“ ოცნების ვერც ამ სეკვესტრირებული ვერსიის განხორციელება ეწეროს: 1) „ძალზე დასუსტებული და დემორალიზებული“ სომხეთი სსრკ-2-ში ჯერ-ჯერობით დიდად არ ისწრაფვის და ცდილობს, კრემლის ეს პროექტი საერთოდ არ შეიმჩნიოს; 2) კრემლის მარწუხებში აღმოჩენილმაც კი, ბელარუსის ლიდერმა ალექსანდრე ლუკაშენკომ მოახერხა, პუტინთან ამასწინანდელი შეხვედრის შედეგად ორი ქვეყნის ინტეგრაცია კვლავ გადაევადებინა; 3) იგივე ლუკაშენკო კვლავინდებურად არ ჩქარობს სოხუმისა და ცხინვალის აღიარებას (ისევე, როგორც ერევანი, რომელსაც თბილისთან საუკეთესო ურთიერთობა აქვს), ხოლო როგორ უნდა თანაიარსებოს სამოკავშირეო სახელმწიფოს ფარგლებში ბელარუსმა მის მიერ არაღიარებულ აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთთან“ – სრულიად გაუგებარია. აქ ორი შესაძლო გამოსავალი რჩება: ან მოსკოვი ლუკაშენკოს მაინც დაიყოლიებს, ან აფხაზეთს მოუწევს, რუსეთის ფედერაციის ნაწილად იქცეს. და ბოლოს – 4) თავად აფხაზეთია წინააღმდეგი: მოსკოვის მხრიდან მძლავრი ზეწოლის პირობებშიც კი იგი „სტრატეგიულ მეგობართან“ ინტეგრაციას ყველა შესაძლო ხერხითა და საშუალებით აჭიანურებს. ბიბილოვისგან განსხვავებით, სოხუმში ჯერ კიდევ ახსოვთ, რისთვის დაიღვარა თავის დროზე სისხლი, ჯერ კიდევ აცნობიერებენ განსხვავებას „დამოუკიდებლობისა“ და „სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი სუბიექტის“ ცნებებს შორის. და მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვზე ტოტალური დამოკიდებულების გამო კრემლის გეგმების რეალიზებისთვის წინააღმდეგობის გაწევის რესურსი ძალზე მწირი რჩებათ, „რუსეთთან მიერთების აუცილებლობის“ შესახებ მოსკოველი მოღვაწეების განცხადებებს სოხუმში ყოველ ჯერზე კვლავინდებურად ხმამაღალი აღშფოთებით ხვდებიან.

მოსკოვს ამ პირობებში უწევს, „ურჩი“ აფხაზების მიმართ ზეწოლის ყველა ბერკეტი გამოიყენოს – დაწყებული პოლიტიკურითა და ეკონომიკურით, დამთავრებული კრემლის სახელგანთქმული „რბილი ძალით“. და ბოლო პერიოდში – „პარტნიორის“ ქცევით აფხაზეთის მოსახლეობის მზარდი უკმაყოფილების ფონზე, კრემლმა ამ მიმართულებით ძალისხმევა შესამჩნევად გაზარდა. სწორედ ამ პრიზმაში უნდა განვიხილოთ სოხუმში ცნობილი პროპაგანდისტის – ანდრანიკ მიგრანიანის ამასწინანდელი ვიზიტიც. მან აფხაზეთში რამდენიმე დღე დაჰყო და არაერთი შეხვედრა-ლექცია გამართა აშკარად დაზეპირებული სადეზინფორმაციო-პროპაგანდისტული ნარატივების გასავრცელებლად. ჩვეული კომპეტენტური სახითა და უწყინარი გამომეტყველებით მიგრანიანი შეკრებილთათვის ნაკლებად ცნობილი უცხოელი მოღვაწეების „ციტატებს“ აფრქვევდა აუდიტორიისთვის გზა-კვალის ასაბნევად, ხოლო შემდეგ „საჭირო კონდიციამდე“ მიყვანილთ არწმუნებდა „თურქეთისა და აზერბაიჯანის მავნებლობაში“, დასავლეთის „მტრულ ზრახვებსა“ და „სისუსტეში“, რუსეთის „ერთგულებასა“ და „სიძლიერეში“, ასევე უამრავ სხვა რამეში, ისეთი დაუფარავი სისულელეების ჩათვლით, როგორიცაა, მაგალითად, მტკიცება, **რომ „საქართველო აზერბაიჯანული რეგიონებითაა გარშემორტყმული“**. მისი მთავარი სადეზინფორმაციო პოსტულატები ასეთია: ვინც რუსეთთან ერთად არაა, ან სუსტია და წაგებული (დასავლეთი), **ან გარეწარი** (თურქეთი და აზერბაიჯანი), **ან ხვალ-ზეგ საერთოდაც აღიგვება პირისაგან მიწისა** (საქართველო), ამდენად, აფხაზებს მტკიცედ უნდა ეჭიროთ კურსი რუსეთზე და მხოლოდ რუსეთზე, როგორც ერთადერთ რეალურ, მძლავრ, საიმედო და პერსპექტიულ მოთამაშეზე.

არ ვიცი, აუდიტორიის რა ნაწილმა დაიჯერა მიგრანიანის ამ ფანტასტიკის, მაგრამ პროპაგანდისტების ამ თავდაუზოგავი მცდელობების მიზეზი მარტივია, მათი მტკიცებებისგან განსხვავებით – სრულიად რეალური, მარტივად გადამოწმებადი და გამოუცდელი დამკვირვებლის „შეუიარაღებელი“ გონებისთვისაც კი ადვილად შესამჩნევი: რუსეთი ფაქტობრივად მარტო დარჩა შავ ზღვაზე, შავი ზღვისპირეთის ყველა დანარჩენი სახელმწიფო ან უკვეა ცივილიზებული დემოკრატიული სამყაროს წევრი, ან ერთმნიშვნელოვნად იღწვის მისკენ და შესაბამისად, იმავე „ბანაკს“ წარმოადგენს. აფხაზეთი კი – თუნდაც პატარა და არაღიარებული, შავ ზღვაზე ერთადერთ „ჩამოუყალიბებელ“ კუნძულად რჩება და რუსეთი მას, ბუნებრივია, თავისკენ მიექაჩება.

სოხუმს უნდა ახსოვდეს ეს არცთუ უმნიშვნელო ფაქტორი, როცა კრემლის მიერ საქართველოთი, დასავლეთითა და სხვა „ბუებით“ მორიგ დაშინებებს მოისმენს და გააგრძელებს თავდაცვას „სტრატეგიული მეგობრის“ მხრიდან მძლავრი განგრძობადი პრესინგის პირობებში. უნდა ახსოვდეს ეს ფაქტორი პირადად ასლან ბჟანიასაც, რომელსაც ოქტომბრისთვის ვლადიმირ პუტინთან მორიგი შეხვედრა აქვს დაგეგმილი. წინააღმეგ შემთხვევაში აფხაზური ნავი მხოლოდ პუტინის მორიგ იმპერიალისტურ კაპრიზამდე მიაღწევს და მსოფლიოში ესოდენ ნანატრი ფანჯრის ნაცვლად, აფხაზეთი მხოლოდ სარკმელს მიიღებს, თანაც სარკმელს მხოლოდ რუსეთში.

ეკატერინე ცანავა

(მასალა მომზადებულია საინფორმაციო სააგენტო „აქცენტისა“ და არასამთავრობო ორგანიზაცია GRASS-ის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, რომელიც ღია საინფორმაციო პარტნიორობის (OIP) ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება).

სტრასბურგი რუსეთის ადანაშაულებს

სტრასბურგის სასამართლომ ალექსანდრ ლიტვინენკოს მკვლელობაზე პასუხისმგებლობა რუსეთს დააკისრა. შესაბამისი გადაწყვეტილება ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ დღეს გამოიტანა.

ვერდიქტში ნათქვამია, რომ რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახური ყოფილი თანამშრომლის პოლონიუმით მოწამვლაზე პასუხისმგებლობა რუსეთის ფედერაციას ეკისრება. სასამართლომ ასევე დაავალდებულა რუსეთის ხელისუფლება ლიტვინენკოს ქვრივს კომპენსაციის სახით 100 000 ევრო გადაუხადოს. ალექსანდრ ლიტვინენკო 2006 წელს ლონდონში მოწამლეს.

◎ სარედაქციო ფოსტიდან

მადლიერება

ჯანსუღ, ლუიზა და ჯიმი ჩარკვიანები

ახლოვდება ჩემი ძმის, ჯანსუღ ჩარკვიანის დაბადების დღე, 30 სექტემბერი, რომელ დღესაც სამივე, მე, ჩემი და ლუიზა და ჯანსუღი ვართ დაბადებულები. ჯანსუღი გახდებოდა 90 წლის, ლუიზა – 88 წლის და მე ვხდები 85-ის. ერთხელ ჯანსუღმა პატრიარქს მოახსენა, რომ სამივე ერთ დღეს ვართ დაბადებული. პატრიარქმა საეკლესიო კალენდარში ნახა და აღმოჩნდა, რომ 30 სექტემბერი მოწამე პისტის, კიდევ სხვა მოწამეთა და, მათ შორის, მოწამე აღათოკლიას ხსენების დღე ყოფილა... ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, რადგან დედაჩემს პისტი ერქვა, ხოლო ბებიაქალს, რომელმაც ამშობიარა, აღათი. დედამ თავისი სახელობის დღეს გააჩინა სამივე შვილი და მეც ამ დღეს მინდა ეს წერილი ჯანსუღის სახელით დავწერო და ყველაფერი, რასაც აქ ვიტყვი, ჯანსუღის ფიქრები და აზრებია, რაშიც მეც ვეთანხმები. მას ძალიან უყვარდა პატრიარქი და თვლიდა, რომ ის საქართველოს ღმერთმა მოუვლინა. აქვე ვიტყვი იმასაც, რომ ჯანსუღი უდიდეს პატივს სცემდა ყველას, ვინც საქართველოსთვის იღვწის. ამ მხრივ იგი ძალიან აფასებდა ბიძინა ივანიშვილს, რადგან მიაჩნდა, რომ წვლილი, რაც მან საქართველოს გადარჩენასა და განვითარებაში შეიტანა, სრულიად აუწონავია. უყვარდა და ლექსებიც აქვს მიძღვნილი. გარდა ამისა, პირადი ურთიერთობა ჰქონდა ბატონ ბიძინასთან და უსაზღვროდ მადლობელი იყო მისი და ამ მადლიერების გრძნობით წავიდა ამ ქვეყნიდან.

მადლობელი იყო, პირველ რიგში, საქართველოსთვის და ასევე პირადად მისი ოჯახისადმი გაწეული აუწონავი დახმარებისთვის. თითქმის 20 წლის განმავლობაში, ბიძინა ივანიშვილი არ ივიწყებდა საზოგადო მოღვაწეებს და დაფასებულ ადამიანებს და მატერიალურად ეხმარებოდა. მათ შორის იყო ჯანსუღიც.

შემდეგ იყო ის, რომ მამუკა, რომელსაც სასწრაფო და ძალიან ძვირად ღირებული ოპერაცია სჭირდებოდა, ბოლომდე დააფინანსა და შესაძლებლობა მისცა, ვენაში წასულიყო და საჭირო ოპერაციები გაეკეთებინა. ფაქტობრივად, სიცოცხლე აჩუქა. როგორ შეიძლება ამისთვის მადლობელი არ იყოს მამა და, მით უმეტეს, ჯანსუღი, რომელსაც არასდროს ავიწყდებოდა გვერდზე დგომის და ხელის გამართვის ყადრი.

კიდევ იმისთვის იყო მადლობელი, რომ ბატონმა ბიძინამ არ დაივიწყა მისი ღვაწლი, არც მამუკასი და აქტიური მონაწილეობა მიიღო მათი ვარსკვლავის გახსნაში.

ჯანსუღი ვეღარ მოესწრო, მაგრამ ვიცი, რომ იმ ქვეყნიდანაც იგრძნო პატრიარქისა და ბატონი ბიძინას გვერდში დგომა და სიყვარული. პატრიარქმა სამების ეკლესიაში დაასვენებინა ჯანსუღი, ხოლო ბატონმა ბიძინამ ჯანსუღის დაკრძალვაში მიიღო მონაწილეობა... სანამ ჩვენ ცხედარს მივასვენებდით, ის უკვე მთაწმინდაზე დაგვხვდა, გათხრილ საფლავთან იდგა, როგორც ჭირისუფალი.

ამისთვის უკვე მე უნდა ვუთხრა მას მადლობა. პატრიარქთან მე ჩემი ურთიერთობა მაკავშირებს და მან იცის ჩვენი მისდამი პატივისცემის შესახებ. რაც შეეხება ბატონ ბიძინას, მასთან პირადი ურთიერთობა არ მქონია და მინდა, რომ არა მხოლოდ ჯანსუღის, არამედ ჩემი სახელითაც გადავუხადო მადლობა, ამდენი ყურადღებისთვის, ჩემი ძმის დაფასებისთვის, ერთგულებისთვის, ჩემი სამშობლოს სიყვარულისთვის, მასზე ზრუნვისთვის და ვინ მოთვლის კიდევ რისთვის. ვისურვებდი, რომ ეს მადლობა პირისპირ მეთქვა და თუ ექნება ჩემთან შეხვედრის სურვილი, კიდევ ბევრი მაქვს მოსაყოლი სხვადასხვა თემაზე, მით უმეტეს, არჩევნები მოგვადგა კარს და მისთვის, ისევე როგორც ჩემთვის, მნიშვნელოვანია, თუ რა ბედს ეწევა ჩემი ქვეყანა.

იმედს ვიტოვებ, რომ ეს შეხვედრა შედგება,
საუკეთესო სურვილებით,

ჯიმშერ ჩარკვიანი

მესტია - „ჩამკვდარია კულტურა, სპორტი, ახალგაზრდებისთვის, ბავშვებისთვის არაფერი კეთდება, მათზე არავინ ზრუნავს“

(მეხუთე გვერდიდან)

ბოლო წრეზე ვინც ყველას გაასწრებს, მესტიის მოედანზე გაივლის და წმინდა გიორგის ეკლესიაში პირველი მივა, გამარჯვებულიც ისაა და ღემიც მთელი წლის განმავლობაში მასთან რჩება.

ახლა ამ მოედანზე ქვაფენილია დაგებული და პიაცას შენობა დგას. შესაბამისად, ქვაფენილზე ცხენების გაჭენება შეუძლებელია და საჯირითოდ ადგილიც არ ჰყოფნით, ამიტომ ამ უძველეს ტრადიციაში ცვლილებების შეტანა მოუწიათ.

სხვათაშორის, 2012 წელს, წინასაარჩევნო შეხვედრებისას ,,ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს, მესტიის მოედნის ,,პიაცასგან“ გათავისუფლებაზეც ჰქონიათ საუბარი.

როგორც მესტიელები გვიყვებიან, ბიძინა ივანიშვილი დაინტერესებულა, თუ რა თანხა დაუჯდებოდა ადგილობრივ ბიუჯეტს ამ შენობის დემონტაჟი და ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, მზად ყოფილა, ეს თანხა გადაეხადა.

მაშინდელი პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ვიქტორ ჯაფარიძე თავის საარჩევნო პროგრამაშიც, პირველ რიგში, ამ პირობას დებდა, რომ შეიცვლებოდა თუ არა ხელისუფლება, მესტია თავის მოედანს პირვანდელი სახით დაიბრუნებდა.

მას შემდეგ, უკვე 9 წელია, ვიქტორ ჯაფარიძე სულ საკანონმდებლო ხელისუფლებაშია, თუმცა მესტიის მოედნიდან „პიაცას“ შენობა კი არ მოაშორა, თავად დაიკანონა და ის ახლა მის პირად მფლობელობაშია.

სამწუხაროდ, როგორც სვანეთის მკვიდრები გვიამბობენ, ეს შენობა ერთადერთი ქონება არ არის, რაც ვიქტორ ჯაფარიძემ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მოიპოვა. მის სახელს მრავალი ბიზნესსაქმიანობა უკავშირდება. ზოგადად, სვანეთში ყველა მომგებიანი საქმე, ორ პირთან, ვიქტორ ჯაფარიძესთან და სოზარ სუბართან ასოცირდება. ხოლო ყოფილი მერი ,,ქართული ოცნებიდან“ და მერობის ამჟამინდელი კანდიდატი, კაპიტონ ჟორჟოლიანი, მხოლოდ მათი ნების აღმსრულებლად სახელდება.

სვანეთის პრობლემების ჩამოთვლისას, ყველაზე მტკივნეული, რასაც ნებისმიერი მოსაუბრე გეტყვის, ესაა: მიშას მერე აქ არაფერი გაკეთებულაო.

ძალიან მინდა, საწინააღმდეგო დავამტკიცო, ფაქტები მოვიძიო, ხმამაღლა ვთქვა, რომ ასე არ არის, აგერ, ამ 9 წელიწადში სვანეთისთვის რამდენი რამე გაკეთდა, მაგრამ ხელთ არაფერი მაქვს.

სხვა რა უნდა თქვა, როცა ამხელა მუნიციპალიტეტს ერთი საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ ემსახურება? ავტობუსების გაჩერების მანიშნებელ აბრებს კი ბევრგან მოვკარი თვალი, მაგრამ ავტობუსის ხსენებაზე აქ სიცილით კვდებიან.

მესტიის ახლო-მახლო სოფლებიდან მესტიაში დასაქმებული ადამიანები იძულებულნი არიან გამვლელ მანქანებს გაჰყვნენ და გამოჰყვნენ, მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობის ბედნიერება მათ არა აქვთ.

რაც შეეხება საქალაქთაშორისო ავტოსადგურს, პირდაპირ მესტიის ცენტრშია მოწყობილი, პურის საცხობისა და ხორცის მაღაზიის გვერდით. ერთი ნორმალური ავტოსადგური, არც ავტოსადგომი მესტიაში არ არსებობს.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც ადგილობრივები წუხან და რაც მესტიაში ჩასული სტუმრისთვის, უპირველესად თვალსაჩინო ხდება, ნაგავსაყრელის საკითხია.

მუნიციპალიტეტიდან გატანილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებელი ტერიტორია აეროპორტის პირდაპირ არის მოწყობილი, ისე, რომ სვანეთში თვითმფრინავით ჩამოსულ სტუმარს, პირველი სწორედ ნაგავსაყრელი შეხვდება. ხოლო, თუ ცოტა ქარმა წამოუბერა, მთელი ნაგავი აეროპორტის ტერიტორიაზე ნაწილდება.

ამიტომ, მოსახლეობა ითხოვს ნაგავსაყრელისთვის სხვა ადგილი გამოინახოს, საყოფაცხოვრებო ნარჩენები დაიპრესოს და ისე შეინახოს, რომ გარემოს ზიანი არ მიადგეს.

სვანეთის ნებისმიერი მკვიდრი რომ გააჩერო და ჰკითხო, საერთო რატომ არაფერი ხდება აქ, რატომ არ შენდება გზები, რატომ არ ეწყობა ინფრასტრუქტურა, რატომ არ უმჯობესდება საცხოვრებელი პირობები, რატომ არ პატრონობს ხელისუფლება სვანეთს, პასუხი ყველას ერთი აქვს, მარტივი, მაგრამ ძალიან მძიმედ მოსასმენი: მათ უნდათ, სვანეთი მოსახლეობისგან დაიცალოს, სურთ, გვაიძულონ, აქედან წავიდეთ, რათა ოქროს მომპოვებელ საბადოებად და ჰესებად აქციონ აქაურობა. **ასეთია ადგილობრივების ვარაუდი. შექმნილ მდგომარეობაზე. სხვა ახსნა მათ, უბრალოდ, არა აქვთ.**

„პროგრესნიუსი“

რედაქციისგან

საინფორმაციო სააგენტო „პროგრესის“ მიერ ინტერნეტში გავრცელებულ ამ წერილს აშკარად ეტყობა, რომ ის მატყუარა ნაცის ან ნაცების მხარდამჭერი მესტიელი მავნებლის წინასაარჩევნო პასკვილია, მაგრამ წერილში დასახელებული კონკრეტული ფაქტების თუნდაც 50 პროცენტი თუ სიმართლეა, მოსჩრია თავი „ქართულ ოცნებას“ საქვეყნოდ და ეგ არის!

ამიტომაც გულითადად ვთხოვთ სვანეთის გულდამწვარ ჭირისუფალს, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ გამორჩეულ სახეს, ყოფილ ჟურნალისტს და რედაქტორს სოზარ სუბარს, დამაჯერებელი პასუხი გასცეს წერილის ინკოგნიტო ავტორს თუ ავტორებს...

ჩვენი კორესპონდენტი თქვენთან გულახდილ დიალოგს ელოდება, ბატონო სოზარ!

საქართველომ დასავლეთს ზურგი აქცია, პუტინი უკრაინაში იმარჯვებს... უკვე არაერთმა დასავლელმა პარტნიორმა შემოჰკრა განგაშის ზარს. რამდენად საფუძვლიანია ეს განცხადებები? საკმარისს აკეთებენ თუ არა ბრიუსელი და ვაშინგტონი მოკავშირეების დასაცავად და რუსეთის შესაკავებლად? რით ემუქრება დასავლეთს ავღანეთიდან ქაოტური გასვლა და როგორ აისახება ეს თბილისისა და კიევის ევროატლანტიკურ მისწრაფებაზე? – ამ და ბევრ სხვა საკითხზე „ЭхО КАВКАЗА“ აშშ-ის ყოფილ სპეცწარმომადგენელს უკრაინის საკითხებში, ნატოში აშშ-ის ყოფილ ელჩ კურტ უოლკერს ესაუბრა. განხილული საკითხების აქტუალობიდან გამომდინარე, „აქცენტი“ ამ ამონარიდების ქართულ თარგმანს გთავაზობთ:

ხელისუფლებისა და ოპოზიციის ურთიერთქმა

საქართველო დღეს ნაკლებად მომწიფებულ დემოკრატიად გამოიყურება, ვიდრე რამდენიმე წლის წინ...

– დავიწყოთ საქართველოს შიდა პოლიტიკური კრიზისით, რომელიც სულ უფრო ღრმავდება. კრიტიკულად მნიშვნელოვან არჩევნებამდე თვეზე ნაკლები რჩება. ევროკავშირის შუამავლობით მიღწეული შეთანხმება პრაქტიკულად მკვდარია. რა მდგომარეობაში აყენებს ეს საქართველოს? და როგორ უნდა გამოვიდეს ქვეყანა პოლიტიკური ჩიხიდან?

– ვფიქრობ, მუნიციპალური არჩევნები – ეს პირველი შესაძლებლობაა საქართველოსთვის, საკუთარი პოლიტიკური კალენდარი „გადატვირთოს“, რათა შეძლოს, გაიხედოს მომავალში – საერთო ეროვნული არჩევნებისკენ, როცა არ უნდა გაიმართოს ისინი. უკვე საკმაოდ დიდი დრო გავიდა წინა საერთო ეროვნული არჩევნების (როცა ოპოზიციური პარტიები პარლამენტში არ შევიდნენ და ისმოდა დარღვევებთან დაკავშირებული ბრალდებები), ასევე შარლ მიშელის შეთანხმების გაფორმების შემდეგ. სამწუხაროა, რომ საქართველო იმდენად გაყოფილი რჩება პოლიტიკურად, რომ ინსტიტუტები კვლავინდებურად სუსტია. სამწუხაროდ, ვერ იქნა ნაპოვნი ქმედითი გზა საიმისოდ, რომ ეს ინსტიტუტები ემსახურონ ქართველ ხალხს, რათა მან შეძლოს საკუთარი ინტერესების გამოხატვა პარლამენტსა და მთავრობაში დებატებისა და გადაწყვეტილებების მიღების გზით. მომავალი მუნიციპალური არჩევნები კი არის შესაძლებლობა, ეს ვითარება „გადაიტვირთოს“.

უპირველესად, ეს არჩევნები უნდა იყოს სამართლიანი და თავისუფალი. ადამიანები დარწმუნებულები უნდა იყვნენ შედეგების სიზუსტეში. მეორეც, ვფიქრობ, ამ არჩევნებზე ვიხილავთ მეტ მრავალფეროვნებას სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების მონაწილეობის წყალობით. რეალობა აღარ იქნება ისეთივე ორპოლუსიანი — „ქართული ოცნება“ ან „ენმ“, როგორც ბევრი ფიქრობდა. ვთვლი, რომ ეს დადებითი მომენტია. იმედი მაქვს, ამ რჩევნების შემდეგ როგორც ხელისუფლება, ისე ოპოზიცია ახლებურად შეხედავენ ევროკავშირისა და აშშ-ის გეგმას (შარლ მიშელის გეგმას), რომელსაც სხვადასხვა დროს ორივე დაეთანხმნენ და იტყვიან, მისი რომელი ელემენტები უნდა განხორციელდეს.

– ევროპულ კრედიტზე მმართველი პარტიის უარი დასავლეთში ბევრმა პროდასავლურ საგარეო პოლიტიკაზე უარის თქმად აღიქვა. მაგალითად, საქართველოში აშშ-ის ყოფილმა ელჩმა იან კელიმ „Foreign Policy“-ში გამოქვეყნებულ ამასწინანდელ სტატიაში აღნიშნა, რომ „საქართველომ დასავლეთს ზურგი აქცია“. ეთანხმებით ამ შეფასებას?

– არა, მე მას არ ვიზიარებ. იანი ჩემი კარგი მეგობარია და პატივს ვცემ მის აზრს. ვფიქრობ, თანაავტორი დევიდ კრამერი იქნებოდა...

– დიახ, ასე იყო.

– მიუხედავად ამისა, მათ ვერ დავეთანხმები. არა მგონია, კრედიტზე უარის თქმა შიდა პოლიტიკური კონტექსტიდან მოწყვეტილად შეიძლება, აღვიქვათ. მთავრობის თვალთახედვით, ოპოზიცია იღწვოდა, რათა შეთანხმების პირობები ფულის მიღებასთან ყოფილიყო ბმაში. ახლა ხელისუფლებისთვის ღირსების საქმეა ამ პირობებზე უარის თქმა სწორედ იმიტომ, რომ ოპოზიცია დაჟინებით იღწვოდა ამ ბმისთვის. ჩემთვის ეს ერთგვარად საკუთარი თავისთვის სროლა იყო. მთავრობამ უკვე მოაწერა ხელი შარლ მიშელის შეთანხმებას, ოპოზიციას კი ეს არ გაუკეთებია. მათ შეეძლოთ, ყველაფერი ისე დაეტოვებინათ, როგორც იყო და არაფერი მოემოქმედათ. მაგრამ როგორც ღირსების საქმე, შემდგომში მოინდომეს, გაეწვიათ ხელმოწერა და ეთქვათ: მორჩა, ამით შებოჭილები აღარ ვართო. ეს უბრალოდ გაუმართლებელია.

> გეთანხმებით, ევროპასა და აშშ-ში, განსაკუთრებით – იმ ადამიანებში, რომლებიც საქართველოში მიმდინარე მოვლენებს სათანადო ყურადღებით არ ადევნებენ თვალს, აღქმა სწორედ ისეთია, თითქოს ეს იყო ზურგის ქცევა ევროკავშირისთვის, ნატოსთვის. მაგრამ რატომ უნდა მომხდარიყო ეს, რატომ უნდა გაეკეთებინათ ეს? ვფიქრობ, ამით მათ საკუთარ თავს ავნეს, არადა, შეეძლოთ, ეს თავიდან აეცილებინათ. ჩემი აზრით, აქ საძმე გვაქვს ხელისუფლებისა და ოპოზიციის „ურთიერთრძენასთან“ და არა ევროპაზე უარის თქმასთან. პირიქით: რომ გაესაუბროთ როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის წარმომადგენლებს და ჰკითხოთ, რა სურთ მათ საქართველოსთვის, ერთნიც და მეორენიც გეტყვიან, რომ სურთ, საქართველო იქცეს მყარ დემოკრატიად განვითარებული ეკონომიკით, გახდეს ევროკავშირისა და ნატოს წევრი, რომ ქვეყანაში უზრუნველყოფილი იყოს კანონის უზენაესობა, იყოს უკეთესი ბიზნეს-კლიმატი, მოზიდულ იქნას მეტი ინვესტიცია. ორივე მხარეს ერთი და იგივე სურს, უბრალოდ ერთმანეთში ვერ თანხმდებიან.

– ვითომ? ბევრი დღეს საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს, აჩვენოს, ვის მხარესაა, განსაკუთრებით – უსაფრთხოების სფეროში ბელარუსთან შეთანხმების გაფორმების შემდეგ. პრემიერი ღარიბაშვილი შეეცადა, ამ შეთანხმების მნიშვნელობა დაეკნინებინა, უწოდა რა მას „უბრალო ფორმალობა“, თუმცა ამან, როგორც ჩანს, ევროპასა და შშ-ში ბევრისთვის არადამაჯერებლად გაიჟღერა.

– მესმის, რატომაც თქვა ეს პრემიერმა ღარიბაშვილმა. როგორც ჩანს, მას არ სურს, ბელარუსსა და რუსეთში ვინმეს აწყენინოს. თუმცა ვფიქრობ, მას მხედველობიდან გამორჩა, როგორ შეიცვალა ბრიუსელსა და ვაშინგტონში ბელარუსის მიმართ დამოკიდებულება იმ რეპრესიების, დაკავებების, ფიზიკური ძალადობის, ციხეებში არაადამიანური მოპყრობისა და სხვა მსგავსი არადემოკრატიული ქმედებების შემდეგ, რომლებიც ლუკაშენკოს ხელისუფლების მხრიდან გასული წლის არჩევნებს მოჰყვა, ასევე რუსეთის განგრძობადი მცდელობების შემდეგ, ბელარუსი შთანთქოს. კონტექსტი შეცვლილია. ჩვენ ვაძლიერებთ სანქციებს, ევროკავშირიც აძლიერებს მათ, საქართველო კი ამ დროს ამ შეთანხმებაში რჩება და ამ მომენტში ეს უფრო მეტად წარმოჩინდება კონტექსტიდან ამოვარდნილად, ვიდრე იმ შემთხვევაში, ადრე რომ გაკეთებულიყო.

– ათწლეულების განმავლობაში საქართველო ევროკავშირისა და აშშ-ის უახლოესი ერთგული მოკავშირე იყო რეგიონში. თბილისმა ევროკავშირისა და ნატოს წევრობა სტრატეგიულ მიზნად გამოაცხადა და გამოეხმაურა დასავლელი პარტნიორების ყველა მოწოდებას, ერაყსა და ავღანეთში მისიებში მონაწილეობის ჩათვლით. რამდენად ცალსახაა ამ მიმართულებით საქართველოს ძალისხმევა დღეს? ინარჩუნებს თბილისი იმავე ჟინს?

– კარგი კითხვაა. ერთის მხრივ, ვაშინგტონსა და ალბათ ბრიუსელშიც ხალხს მოსწონს საქართველოს ეს „დრაივი“. ქართველები – ყველა, პოლიტიკური კუთვნილების განურჩევლად, თავს ევროპელებად მიიჩნევენ, საკუთარ თავს ევროპასთან დაკავშირებულ თანამედროვე დემოკრატიად ხედავენ, აცნობიერებენ რა, რომ ევროკავშირისა და ნატოს წევრობა, ევროკავშირსა და აშშ-სთან ახლო ურთიერთობები – ეს ყველაფერი საქართველოს ინტერესებშია. ქართველები ერთგულნი რჩებიან ამ გზის. ამავდროულად, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები მნიშვნელოვანი დარღვევებით ჩატარდა; ვნახეთ ასევე დაპირისპირება 2020 წლის არჩევნების შედეგად და უუნარობა, პარლამენტი ყველა ძალის მონაწილეობით შეეკრიბათ, უუნარობა, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მიღწეულიყო გარკვეული შეთანხმება იმაზე, როგორ მიეღოთ და გაეგოთ არჩევნების შედეგები, რათა გზა გაეგრძელებინათ. ამდენად, საქართველო დღეს ნაკლებად მომწიფებულ დემოკრატიად გამოიყურება, ვიდრე რამდენიმე წლის წინ.

თუ საგარეო პოლიტიკას შევხედავთ, საქართველომ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ნატო-ში, განსაკუთრებით – ავღანეთში. მაგრამ ამ ქვეყნიდან აშშ-ის გასვლასთან ერთად საქართველო აღმოჩნდა სიტუაციაში, როცა ბევრი რამ საკუთარ მხრებზე უნდა იტვირთოს. ეს აღარაა უბრალოდ შენატანი იმაში, რასაც აკეთებს ამერიკა. ეს ძალზე რთული სიტუაციაა. ვერ ვხედავ საქართველოსთვის ვერავითარ სხვა გზას. იმედი მაქვს, შიდა პროცესები დატოვებს შესაძლებლობას, ქვეყანა ბრიუსელისა და ვაშინგტონის ყურადღების ცენტრში დარჩეს.

– აღნიშნეთ, რომ საქართველომ ბევრი რამ გააკეთა ნატო-ში გასაწევრიანებლად. ამასწინათ გერმანული „Deutsche Welle-სთვის მიცემულ ინტერვიუში ექს-პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ ანგელა მერკელთან მისი უთანხმოების მთავარი მიზეზი ნატო-ში საქართველოს გაწევრიანების საკითხი იყო. „მერკელს მტკიცედ სწამდა, რომ ეს შეცდომა იქნებოდა, მე კი ამას სწორ ნაბიჯად ვთვლიდი“ – აღნიშნა მან. ვინ ან რა წარმოადგენს სადღეისოდ მთავარ წინაღობას ნატოს წევრობისკენ საქართველოს გზაზე?

– საინტერესო კითხვაა. განვმეორდები, მთავარი წინაღობა ამ ეტაპზე საქართველოში არსებული შიდაპოლიტიკური ჩიხია, რადგან ახლა ადამიანებისთვის ბერლინში, პარიზში და ბრიუსელში ძალიან მარტივია, შეხედონ საქართველოს და თქვან, „ისინი მზად არ არიანო“. ეს უკვე დავის საგანიც აღარაა. როცა ბუში იყო პრეზიდენტი, ქვეყანამ რეფორმებში მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. დიახ, კიდევ ბევრი რჩებოდა გასაკეთებელი, მაგრამ სახეზე იყო დინამიკა. და მას მართლაც სჯეროდა, რომ საქართველო იმსახურებდა ამ შანსს. ვფიქრობ, მას რეალურად სურდა, ქვეყანას მისცემოდა შემდეგი ნაბიჯის გადადგმის შანსი – ცნობილი MAP-ი. გერმანიის იმჟამინდელი კანცლერი ანგელა მერკელი კი ამას სწორ ნაბიჯად არ თვლიდა. მისი აზრით, ეს შეიძლებოდა, მეტისმეტად პროვოკაციული ყოფილიყო პუტინისთვის.

– ანუ, მაშინ ნაადრევი იყო, ახლა კი უკვე გვიანია?

– დიახ, რაღაც ამის მსგავსია. მაშინ ეს იყო წინაღობა. დღეს კი ნატოს წევრებს რომ ჰკითხოთ, უნდა გახდეს თუ არა საქართველო ალიანსის წევრი, ძალზე გრძელ, განვრცობილ პასუხებს მიიღებთ. უკეთესი იქნებოდა, საქართველო ძლიერ ქეისს წარმოადგენდეს, რათა ამ ადამიანებისთვის უხერხული ყოფილიყო, ეპასუხათ „არა“! მაგრამ ამჟამად მათ არგუმენტების მოყვანაც კი არ სჭირდებათ, ხედავენ რა შიდაპოლიტიკურ ვითარებას, რომელიც მომწიფებულ დემოკრატიას არ შეესაბამება.

რჩება ასევე კორუფციასთან, კანონის უზენაესობასთან დაკავშირებული რიგი საკითხები, რომლებიც უნდა გადაიჭრას. საბოლოო ჯამში, დარწმუნებული ვარ, საქართველო თავისას მიაღწევს. ვფიქრობ, საქართველო ჭეშმარიტად ევროპული ქვეყანაა ევროპული მენტალობით და დემოკრატიად ჩამოყალიბების სურვილით. მაგრამ ამას გარკვეული ძალისხმევა და გარკვეული აღდგენითი სამუშაოები დასჭირდება როგორც თავად საქართველოს, ისე ნატოსა და ევროკავშირის მხრიდან.

– 11 სექტემბრის ტერაქტების მე-20 წლისთავზე ამერიკის ყველაზე ხანგრძლივი ომი დასრულებულია. მაგრამ დასრულდა კი ტერორიზმთან ომი?

– ვერასოდეს წარმოვიდგენდი, გასულ წელს ან თუნდაც ამ გაზაფხულზე, რომ 11 სექტემბრის ტერაქტების მე-20 წლისთავზე მსგავს ვითარებაში აღმოვჩნდებოდით. ჩვენ ვხედავთ ქაბულში „ალ-ქაედასა“ და „თალიბანის“ რეჟიმებს, რომლებსაც ამჟამად ხელთ აქვთ მთელი ჩვენი შეიარაღება; ვხედავთ „ალ-ქაედასა“ და „ისლამურ სახელმწიფოს“ არა მარტო ავღანეთში, არამედ მათ გაფართოებულ წარმოდგენილობას ახლო აღმოსავლეთში, ცენტრალურ, სამხრეთ და აღმოსავლეთ აზიაშიც კი. ამგვარად, სადღეისოდ ისინი უფრო ფართოდ არიან წარმოდგენილები, ვიდრე ადრე. რომ აღარაფერი ვთქვათ ერაყსა და სირიაზე. სადღეისოდ ჩვენთვის უფრო რთულია სადაზვერვო მონაცემების შეგროვება ავღანეთსა და ცენტრალურ აზიაში არსებულ ვითარებაზე, ვიდრე ერთი თვის წინ. არსობრივად, ჩვენ გადავდგით ძალიან დიდი ნაბიჯი უკან ჩვენს უნარში, ვიაზრებდეთ და ვუმკლავდებოდეთ იქ ტერორისტულ საფრთხეს.

ძალიან არ მომწონს ფრაზა „ამერიკის ყველაზე ხანგრძლივი ომი“ ან „ამერიკის ყველაზე ხანგრძლივი ომის დასრულება“, რადგან ვერ ვხვდები, რას ნიშნავს ეს. ჩვენ არ დაგვისრულებია ტერორიზმი. თუ ვსაუბრობთ ტერორიზმთან ომზე, ვინმეს შეიძლება, სიტყვა „ომი“ არ მოსწონდეს, მაგრამ ჩვენ მაინც მოგვიწევს, მასთან მიმართებაში რაიმე მოვიმოქმედოთ.

თუ ავღანეთში ჯარების განთავსებაზე ვისაუბრებთ, ჩვენ იქ წარმატებას ვაღწევდით ბოლო დრომდე. ქვეყანა წლიდან წლამდე უმჯობესდებოდა, ჩვენც კონტინგენტი მინიმუმამდე შევამცირეთ და ავღანეთის ძალებმა წამყვანი როლის თამაში დაიწყეს უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, ავღანეთში განათლება ვრცელდებოდა, ქვეყანა იცვლებოდა – ნელა, მაგრამ მაინც და ეს ყველაფერი 20 წლის განმავლობაში ხდებოდა. ჩვენი ძალები ამ დრომდე რჩებიან გერმანიაში – მეორე მსოფლიო ომიდან 20 წლის შემდეგაც, ჩვენ ამ დრომდე გვყავს ჩვენი ძალები კორეაში – კორეული ომის შემდეგ. ასე, რომ თუ სამხედრო წარმოდგენილობაზე ვისაუბრებთ, ავღანეთს მათ ვერაფრით შევადარებთ. ეს უბრალოდ მკვეთრი პოლიტიკური ფრაზაა, თქვა, „ჩვენ ვასრულებთ ომსო“, რეალობა კი იმგვარია, რომ ვერაფერი დავასრულეთ და პირიქით – შესაძლოა, ვითარება მხოლოდ გავუარესეთ...

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გიორგი ნიკოლავას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გიორგი ნიკოლავა (პ/ნ 62004008289), ფოთი, ახალი რაიონი, გაგრის ქ. №4, ბინა №26

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ფოთი, გაგრის ქ. №4, ბინა №26 (საკადასტრო კოდი: 04.02.12.651.12.026).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 9434.85 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2021 წლის 21 სექტემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2021 წლის 6 ოქტომბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP73741221;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 737412

6. **მოვალე:** გიორგი ნიკოლავა (პ/ნ 62004008289), ფოთი, ახალი რაიონი, გაგრის ქ. №4, ბინა №26.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP73741221; ლოტის ნომერი: 737412).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2021 წლის 6 ოქტომბრის 10:00 საათამდე.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს კახაბერ ნოდიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** კახაბერ ნოდია (პ/ნ 61003005210), ბათუმი, ტბეთის ქ. №9, სართ. 4, ბინა 72

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ბათუმი, ტბეთის ქ. №9, სართ. 4, ბინა 72 (საკადასტრო კოდი: 05.30.28.013.01.072).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 27466.87 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2021 წლის 21 სექტემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2021 წლის 6 ოქტომბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP73740621;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 737406

6. **მოვალე:** ნანა მამულაძე (პ/ნ 61001025212), ბათუმი, ტბეთის ქ. №9, სართ. 4, ბინა 72.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP73740621; ლოტის ნომერი: 737406).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2021 წლის 6 ოქტომბრის 10:00 საათამდე.

საშემოდგომო „ხორნაბუჯი“

გამოვიდა ლიტერატურულ ალმანახ „ხორნაგუჯის“ მე-11 ნომერი.

ალმანახის რედაქტორია **გიორგი ნატროშვილი**. გარეკანი გაფორმებულია **დავით ჯინაშვილის** ფოტოთი და **ხათუნა გაგუხაძის** ნამუშევრებით. ყდის მე-2 გვერდი ვაჟა ფშაველას 160-ე წლისთავისადმია მიძღვნილი და გვთავაზობს მის უკვდავ ლექსს – „რამ შემქმნა ადამიანად“. ყდის მე-3 გვერდზე იხილავთ ინფორმაციას **ხათუნა გაგუხაძის** შემოქმედების შესახებ.



ნომერი იხსნება საიუბილეო მილოცვებით და იუბილართა ლექსებით: **თემურ ჩალაგაშვილი – 70, ლევან ალავერდაშვილი – 50;**

რუბრიკაში „პოეზია“ მკითხველი გაეცნობა: **თამაზ წიკლაურის, გიორგი ხორგალაძის, ზიზო გურდულის, მანანა დანგაძის, ჯუმბერ უთრუთაშვილის, დავით დარგაიძის, ნატო ყატაშვილი-აფაქიძის, სოფიკო მექვაბიშვილის, აკაკი სამუკაშვილის, ნინო მოდრეკილაძის, ნინო ალადაშვილის, ზაირა ფრუიძის და მამუკა ოჩიაურის** ლექსებს.

„პროზა“ წარმოგვიდგენს **ცირა ყურაშვილის** ორ მოთხრობას.

„ახალი სახელები“ მკითხველს აცნობს ახალგაზრდა საინტერესო პოეტის **სალომე ლომინაძის** ლექსებს.

„პუბლიცისტიკა“ გამოსაცემად გამზადებული **გიგი ხორნაულის** წიგნიდან „ჩემი საწუთრო-სამზეო“ (ტომი II) გვთავაზობს ერთ თავს – „ილო ფხოველი – ვინც გულს უკლავდა ანასა“.

„თარგმანი“ იხსნება ცნობილი პროზაიკოსისა და მთარგმნელის **აკაკი დაუშვილის** 60 წლის საიუბილეო მილოცვით და აქვე გვთავაზობს მის მიერ თარგნილ **ელენე დოლგოპიატის** მოთხრობას. ამავე რუბრიკაში ნახავთ თურქი პოეტის **არზუ ქარადაღის** ლექსების **ნინო მოდრეკილაძისეულ** თარგმანს. ასევე, XX საუკუნის სირიელი პოეტის **ნიზარ კაბანის** და ლიბანელი პოეტის **ემინ არ - რეიჰანის** და თანამედროვე სირიელი პოეტის **ამარჯის** ლექსების **გიორგი ლობჟანიძისეულ** თარგმანს არაბულიდან და XIII საუკუნის სირიელი ავტორის **აბულ ფარაჯის** „თავშესაქცევ ამბავთა წიგნის“ რუსულიდან **გიორგი ნატროშვილისეულ** თარგმანს.

ალმანახში გაეცნობით **მარიკა პოპიაშვილის** წერილს „გაზაფხული“, რომელიც ეძღვნება დედაქალაქში „ერთი მხატვრის“ – **ნათელა იანქოშვილის** მუზეუმში (რუსთაველის გამზირი 26) მოწყობილ ტრადიციულ საგაზაფხულო გამოფენას.

ჟურნალში ტრადიციისამებრ იხილავთ რუბრიკებს „გახსენება“, „ფსიქოლოგია“, „დედოფლისწყაროს ისტორიიდან“, „იუბილე“, რომელსაც უძღვებიან ნანა ჭიჭინაძე და ლალი ბასილაშვილი.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს შპს „ვიტე ვერას“ საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის თანამესაკუთრეები:** შპს „ვიტე ვერა“ (ს/ნ 405183527), თბილისი, ზ. ფალიაშვილის 33, ბინა №12

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თელავი, სოფელი წინანდალი (საკადასტრო კოდი: 53.03.33.144).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 2140527.41 ლარი დღგ-ის ჩათვლით.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2021 წლის 21 სექტემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2021 წლის 6 ოქტომბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP73738321;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 737383

6. **მოვალე:** კობა ტუღუში (პ/ნ 61001003947), თბილისი, ზ. ფალიაშვილის 110, ბინა №5; ოთარ კიკნაძე (პ/ნ 45001002789), თბილისი, შ. ნუცუბიძის ფერდობი, 4 მ/რ კორპ. 11, ბინა 90,
   შპს „ბესინი“ (ს/ნ 405159368), თბილისი, ზ. ფალიაშვილის 33, ბინა №12.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP73738321; ლოტის ნომერი: 737383).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2021 წლის 6 ოქტომბრის 10:00 საათამდე.

◎ შეხვედრები მინისტრთან

თეა წულუკიანი ხელბურთისა და ჭიდაობის ფედერაციების ხელმძღვანელობას შეხვდა

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, მინისტრის მოადგილე სოსო გიორგაძესთან ერთად, ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ვახტანგ მეიფარიანს და ფედერაციის სხვა ხელმძღვანელ პირებს შეხვდა.

მინისტრმა ხელბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან ქართულ ხელბურთში არსებული სიტუაცია და სპორტის ამ სახეობის წინაშე მდგარი გამოწვევები განიხილა. საუბარი ასევე შეეხო სამომავლო გეგმებს, ფედერაციის მიერ შემუშავებულ ახალ წესდებასა და 2022 წლის ბიუჯეტის პროექტს.

* * *

გუშინვე მინისტრმა თეა წულუკიანმა, მინისტრის მოადგილე სოსო გიორგაძესთან ერთად, ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელ პირებთან სამუშაო შეხვედრა გამართა. შეხვედრას ესწრებოდნენ ფედერაციის პრეზიდენტი გეგა გეგეშიძე, გენერალური მდივანი გიორგი კიკაბიძე, საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი გიორგი იანტბელიძე, ფედერაციის ადმინისტრაციის უფროსი მაია ნოდია და ტექნიკური მენეჯერი ლაშა ხუციაძე.

მინისტრმა ჭიდაობის ფედერაციას მადლობა გადაუხადა ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე წარმატებული ასპარეზობისთვის და აღნიშნა, რომ ფალავნები საქართველოს ოლიმპიური გუნდის წარმატებაში ყოველთვის განსაკუთრებულ როლს თამაშობენ. შეგახსენებთ, რომ ტოკიოში მძიმეწონოსანმა მოჭიდავეებმა **იაკობ ქაჯაიამ** (ბერძნულ-რომაული სტილი) და **გენო პეტრიაშვილმა** (თავისუფალი სტილი) ვერცხლის მედლები მოიპოვეს.

ამასთან, მინისტრმა ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელობას სამინისტროს პრიორიტეტული მიმართულებები გააცნო და აღნიშნა, რომ სპორტულ ფედერაციებთან თანამშრომლობის პროცესში სამინისტროს სამი ძირითადი მიმართულება აქვს — უმაღლესი მიღწევები, მასობრიობა და ახალგაზრდების მაქსიმალური ჩართულობა სხვადასხვა პროექტებში, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ახალ თაობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას. თავის მხრივ, ფედერაციის ხელმძღვანელობამ მინისტრს ფედერაციის წინაშე არსებული გამოწვევები გააცნო, ასევე ოქტომბრის დასაწყისში ოსლოში გასამართავი მსოფლიოს ჩემპიონატის შესახებ ესაუბრა, რომელზეც საქართველოს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებები 10-10 სპორტსმენით წარდგებიან და უმაღლესი სინჯის მედლებისთვის იბრძოლებენ.

◎ ტატამი

36 ქვეყნის 260 წარმომადგენელი შეიკრიბება 24-26 სექტემბერს ზაგრებში, სადაც იქაური გრან-პრის მონაწილეთა შორის 4 ქართველი ძიუდოისტიც იქნება, მათ შორის ერთი — ტოკიოს ოლიმპიადის ლიცენზიანტი.

ხორვატული გამოცდა

ხორვატულ ტატამზე იასპარეზებენ 18 წლის **ჯუმბერ მელაძე** (-73 კგ), 19 წლის **ზაურ დვალიშვილი** (-81 კგ), მსოფლიო რეიტინგის ლიდერი **ტატო გრიგალაშვილი** (-81 კგ) და ეროვნული ნაკრების წევრი **ლუკა მაისურაძე** (-90 კგ).

◎ კორტი

სტარტზე - იტალიელი



მსოფლიოს 35-ე ჩოგანი ნიკოლოზ ბასილაშვილი ამერიკის ღია პირველობასთან მესამე წრეში დამშვიდობების შემდეგ საფრანგეთის ქალაქ მეცის კორტებზე დაწყებულ ტურნირში ცდის ძალებს, სადაც იოლად გაუსწორდა პირველ მეტოქეს — საერთაშორისო კლასიფიკაციის იტალიელ 66-ე ნომერს ჯანლუკა მაგერს, რომელსაც კარიერაში აქამდე ჯერ არ შეხვედროდა — 6:3, 7:6 (11 ეისი).

აღსანიშნავია, რომ ჩვენს თანამემამულეს სეზონში ჯერჯერობით დადებითი ბალანსი აქვს — უკვე 26 მოგება და 22 წაგება მაშინ, როცა აპენინელს პირიქით გაუხდა — 13 გამარჯვება და 18 დამარცხება.

◎ 64

საბავშვო შამათები

საჭადრაკო დაფასთან პატარებს შეასწავლეთ ფიგურების საწყის მდგომარეობაში განლაგება, მათი ფასეულობები და თამაშის წერა-კითხვის ანბანი (ნოტაცია), რაც საჭირო დროს და მეცადინეობას მოითხოვს.

სასურველია თამაში დაიწყონ საბავშვო შამათებიდან. ეს ნორჩებს გაცილებით დიდად დააინტერესებს! შეეცადეთ ასწავლოთ მოცემულ მოკლე პარტიებში, როგორ უნდა აარიდონ თავი არასწორ სვლებს.

I 1.e4e5 2.♘c4♗c6 3.♕f3♘c5 4.♕f7 II 1.f4e5
2.g3f4 3.f4♕h4 III 1.e4e5 2.♘c4♘c5 3.♕h5♗f6 4.♕f7

დამხმარე სახელმძღვანელოდ შეიძლება გამოიყენოთ დიდოსტატ **დავით გურგენიძის** ნაშრომი „საჭადრაკო მაგალითები დამწყებთათვის“. თბილისი — 2016, რომლის ამონარიდის დიაგრამებს ქვემოთ გთავაზობთ.

მოამზადა **თამაზ შენგელია**

დაფაზე დასვი თეთრი მხედარი და გამოაცხადე შამათი

Put a White Knight on the board and Deliver a Checkmate

409



410



411



◎ ფორუმის წინ

ესპანურ დაფებზე

26 სექტემბრიდან 3 ოქტომბრის ჩათვლით კატალონიის ზღვისპირა ქალაქი იტჟესი ქალთა შორის მსოფლიოს მერვე გუნდურ ჩემპიონატს უმასპინძლებს, სადაც 2015 წლის ტრიუმფატორი და სამგზის ბრინჯაოს მედალოსანი საქართველოს ნაკრები 11 მეტოქის წინააღმდეგ უმთავრესი კონკურენტების — ოთხგზის გვირგვინოსან ჩინეთისა და აშშ-ის არყოფნაში ასეთი შემადგენლობით ითამაშებს: **ნანა ძაგნიძე, ნინო ბაციაშვილი, ბელა ხოტენაშვილი, ლელა ჯავახიშვილი, მერი არაბიძე, კაპიტანი — დავით ჯოჯუა.**

◎ უბერებელი

არ უნდა ფინიში...

ჩეხეთის ჩემპიონატის მორიგ რიგით შეხვედრაში „კლადნოს“ მარცხი „ლიბერეცთან“ — 2:3 ჩვენს ყურადღებას არ მიიქცევდა, რომ არა ერთი ფაქტი: წაგებულთაგან პირველი შაიბა 49(!) წლის ლეგენდარულმა ჰოკეისტმა იარომირ იაგრმა გაიტანა, რომელიც ყინულს ტრავმის მოშუშების შემდეგ დაუბრუნდა. შეგახსენებთ, რომ უბერებელმა ვეტერანმა კარიერის საუკეთესო წლები ოკეანის გაღმა გაატარა და ტიტულები ეროვნული ნაკრების გარდა ნჰლ-შიც მოიხვეჭა, გედის სიმღერას კი, ალბათ, სამშობლოში შეასრულებს.

◎ ვალმოხდილი

პირნათელი წავიდა

საკალათბურთო სამყარომ გამოჩენილი სერბი მწვრთნელი დუშან ივკოვიჩი დაკარგა.

შთამბეჭდავია 78 წლის სპეციალისტის მიღწევათა ნუსხა: **იუგოსლავიის ნაკრები** — ევროპის სამგზის და მსოფლიოს ჩემპიონობა, აგრეთვე სეულის ოლიმპიადის ფინალისტობა. **კლუბები** — ევროლიგის ორგზის მოგება. თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ავარჯიშებდა „პარტიზანს“, „არისს“, „რადნიჩკის“, „შიბენიკს“, „ვოივოდინას“, პაოკ-ს, „პანიონიოსს“, „ოლიმპიაკოსს“, აეკ-ს, ცსკა-სა და „ეფესს“.

◎ მკითხველის წკეპლიკა

რით განსხვავდება ბნელმხილველი ვალერი გელბახიანი ნათელმხილველ ვანგასგან

პატივცემულო რედაქცია, ამ პატარა ბარათს სიცილ-სიცილით გწერთ. რაც მაცინებს, ახლავე გეტყვით. როცა გართობა და დასვენება მინდა, აქუბარდიას „კავკასიას“ ვუყურებ. ხან „სპექტრს“, ხანაც „ბარიერს“ და მუცელი ხელით მიჭირავს. განსაკუთრებით ვხალისობ, როცა აქუბარდიას სტუმარია თავის დროზე კოდუასთან ერთად ბადრი პატარკაციშვილის საქმეში გარეული ვალერი გელბახიანი, რომელიც კვირაში, სულ ცოტა, სამჯერ მაინც მოძღვრავს საქართველოს.

რის ვანგა, რა ვანგა, ნათელმხილველი, აბა, ეს კაცი ყოფილა, თუ ყოფილა! იმ ცნობილ ვანგასგან მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თვალებგახელილი ბრმაა.

ოცი სექტემბრის „სპექტრი“ აქუმ ოცდაერთში დილითაც გაიმეორა. ასე რომ, ალბათ, ბევრს ჰქონდა გელბახიანის ხილვის საშუალება. ნამდვილ ქადაგად დაცემული გელბახიანი, ანუ თვალებგახელილი ბრმა ბნელმხილველი, წინასწარმეტყველებდა, რომ 2 ოქტომბერს არჩევნებს „ოცნება“ შარშანდელ არჩევნებზე მეტად გაიყალბებს, რაც საბედისწერო გამოდგება ბიძინა ივანიშვილის დრომოჭმული პარტიისთვის, ხოლო თავად ბიძინა ივანიშვილი გლდანის ციხეში აღმოჩნდებაო. ამიტომ საჭიროა, ბიძინამ პრევენციულად იმოქმედოს, ამჟამინდელი „ოცნების“ ნაცვლად, ახალი ნეიტრალური პარტია შექმნას ნეიტრალური ხალხითო. მაგალითად, ეკონომიკის მინისტრად მე ხუხაშვილს დავნიშნავდი, ასევე შევცვლიდი დანარჩენ მინისტრებსო, ჩემს განკარგულებაში მარტო ძალოვან სტრუქტურებს დავიტოვებდიო, აქ აქუ ხან დასტურს სცემდა, ხან კვერს დაჰკრავდა ხოლმე. ერთი სიტყვით, სუყოველ წინასწარმეტყველებას უწონებდა სტუდიის ჭერისკენ გაელმებულთვალებაპყრობილი.

სიტყვებით ნამდვილად ძნელია იმ კომიკური სურათის აღწერა, რა სურათსაც ეს ორი აშკარად ცრუქლაქუნა ადამიანი ქმნის. ამიტომ თუ გინდათ, რომ გახალისდეთ და გაერთოთ, თავად უნდა უყუროთ. თვალებახელილი ბრმა ვალერი გელბახიანი თავს არ მოგანატრებთ როგორც აქუს ბნელმხილველი ჯილა, რომელმაც იცის, უფრო სწორად, ბნელში ჭვრეტს, რა დღეშია და რა მოელის ქვეყანას, თუ ხელისუფლებაში ისევ მეოცნებენი დარჩებიან.

მოკლედ, გელბახიანთან ფეხი მოუსხლტებათ ბულგარელ ვანგასაც და ჩვენს ლელა კაკულიასაც.

უყურეთ, იცინეთ და იხალისეთ!

იბო ჟელიძე,
ჟურნალისტი,
ქ. თბილისი.

ჭყონდიდის ეპარქიაში კვლავ ხმაური იყო

ჭყონდიდის ეპარქიაში დაპირისპირება და ხმაური გრძელდება. ამჯერად, დაპირისპირება სალხინოში ახლადდანიშნული ეპარქიის ეკონომისტის გამოჩენას მოჰყვა. განკვეთილ სასულიერო პირებს — ამჯერად, ერისკაცებსა და ეკონომისტს შორის გამართული შეხვედრა ხმაურის ფონზე გაგრძელდა. შეხვედრა მედიისთვის დახურული იყო, თუმცა, მისი დასრულების შემდეგ, მხარეებმა ჟურნალისტების კითხვებს უპასუხეს.

სალხინოს, წაჩხურუსა და ბალდის მონასტრებში ახლადდანიშნული ფინანსური და ადმინისტრაციული საკითხების დროებითი განმკარგავი ტარიელ რუხაძე, რომელიც მეუფემ დანიშნა, აცხადებს, რომ მონასტრებში არსებულ სიტუაციას ეცნობა და სწავლობს. მისივე თქმით, ვიზიტი სალხინოში ემსახურებოდა მხოლოდ არსებული მდგომარეობის შესწავლას, თუმცა, ამის საშუალება განკვეთილმა ბერებმა არ მისცეს და შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა. თავის მხრივ, განკვეთილი ბერები აცხადებენ, რომ არ დაემორჩილებიან არანაირ ბრძანებასა და გადაწყვეტილებას. ისინი კელიების დატოვებას არ აპირებენ.

ჭყონდიდის ეპარქიის მიტროპოლიტმა, მეუფე სტეფანემ, 10-მდე სასულიერო პირი სამონაზვნე და სასულიერო დასიდან სრულად განკვეთა. მათ აეკრძალათ სამონაზვნო და სხვა საეკლესიო შესამოსლით შემოსვა, აგრეთვე — სამონაზვნო ატრიბუტიკის ტარება და გამოყენება. ჭყონდიდის ეპარქიის მიტროპოლიტის თქმით, აღნიშნული სასულიერო პირები, რომლებიც პეტრე ცაავას მხარდამჭერები არიან, არღვევდნენ საეკლესიო კანონებს, ცდილობდნენ ეკლესიაში შუღლის შეტანას, აქეზებდნენ სხვა პირებს და ეწინააღმდეგებოდნენ პატრიარქს.

სადისტური მკვლელობა მარნეულში

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მარნეულის მუნიციპალიტეტში მომხდარ განზრახ მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით, წარსულში ნასამართლევი, 1992 წელს დაბადებული ო.ტ., 1986 წელს დაბადებული ო.გ. და წარსულში ნასამართლევი, 1981 წელს დაბადებული ს.ა. დააკავეს.

ო.ტ.-ს და ო.გ.-ს ბრალი ედებათ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილ თავისუფლების უკანონო აღკვეთასა და დამამძიმებელ გარემოებაში ჯგუფურად ჩადენილ განზრახ მკვლელობაში, ხოლო ს.ა. — სამართალდამცველებმა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დააკავეს.

ო.ტ-ს და ო.გ.-ს მიერ ჩადენილი დანაშაული 7-დან 17 წლამდე ვადით, ხოლო ს.ა.-ს მიერ ჩადენილი ქმედება 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ ო.ტ.-მ და ო.გ. -მ მიმდინარე წლის 18 სექტემბერს, მარნეულის მუნიციპალიტეტში, შურისძიების მოტივით, ნაცნობს - 1993 წელს დაბადებულ ჯ.ჩ.-ს ძალადობის გამოყენებით თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთეს და ხელ-ფეხი შეუკრეს. შემდეგ ბრალდებულებმა გაკოჭილი ჯ.ჩ., ო.გ.-ის მართვის ქვეშ არსებული ავტომობილით, მარნეულის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში წაიყვანეს, სხეულზე მძიმე საგანი მოაბეს და სარწყავ არხში გადააგდეს, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა.

გამოძიებით დადგინდა, რომ ო.ტ.-ს და ო.გ.-ს მიერ ჩადენილ ქმედებას შეესწრო მათივე მეგობარი — ს.ა., თუმცა მან მომხდარი მძიმე დანაშაულის შესახებ სამართალდამცველებს არ შეატყობინა. საქმეზე ჩატარებული ინტენსიური სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამართალდამცველებმა სამივე ბრალდებული მარნეულში დააკავეს.

სანთელი

საქართველოს მეგზევეთა საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საგზაო დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი

როსტომ მიქაუტაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რეზო, ლალი, ზურაბ, ნათელა ტაკიძეები დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ სიძე

ქრისტიან-გიორგი ფონ ბორცისკოვსკი

და თანაუგრძნობენ ანი ტაკიძეს და პატარა მარიამს ძვირფასი მეუღლისა და მამის გარდაცვალების გამო.

საქართველოში სრულად COVID-ვაქცინირებულია მოზრდილი მოსახლეობის 25.2 პროცენტი!



დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, 21 სექტემბრის მონაცემებით სულ ჩატარებულია 1 671 295 აცრა. სულ მცირე 1 დოზით ვაქცინირებულია 952 219 ადამიანი — მოზრდილი მოსახლეობის 33.3%-ი. სრულად ვაქცინირებულია 719 076 ადამიანი — მოზრდილი მოსახლეობის 25.2%-ი. 20 სექტემბერს აიცრა 15 096 ადამიანი.

რატომ ამბობენ უარს ვაქცინაციაზე?

საქართველოში ჩატარებული კვლევის მიხედვით, ადამიანთა დიდი ნაწილი ვაქცინაციის პროცესში ჩართვაზე უარს უშვილობისა და მუტაციური ცვლილებების, ან სიკვდილის საფრთხის თავიდან არიდების მიზნით ამბობს.

ამ და მსგავსი თეორიების არსებობას სპეციალისტების განმარტებით, საზოგადოებაში არსებული ინფორმაციული დეფიციტი უწყობს ხელს. ექიმი-ეპიდემიოლოგი ხათუნა ზახაშვილის თქმით, არაერთი კვლევისა და წარდგენილი მონაცემების მიხედვით, ქვეყანაში არსებული ყველა ვაქცინა სრულიად უსაფრთხოა და ცრუ თეორიები საზოგადოებისთვის მხოლოდ და მხოლოდ ზიანის მომტანია. საქსტატის კვლევის თანახმად, აცრის წინააღმდეგთა 37.5% მიზეზად უშვილობას ან სიკვდილს ასახელებს.

რაჭაში რთველი იწყება

„ხვანჭკარის“ ხარისხისა და უნიკალურობის დასაცავად, რაჭაში სპეციალური ღონისძიებები უკვე დაიწყო. რაჭის რეგიონის შესასვლელებში მოეწყო სპეციალური საკონტროლო პუნქტები. შემოწმდება რეგიონში შემოსული ყველა მანქანა, რათა არ მოხდეს ყურძნის სხვა მუნიციპალიტეტებიდან შემოტანა.

ამავე მიზნით, რთველის დაწყებისთანავე, ყურძნის მიმღებ ყველა პუნქტზე ამპელოგრაფები მონიტორინგს გაუწევენ ჩასაბარებელ ყურძენს, რათა არ მოხდეს სხვა ჯიშების „ხვანჭკარის“ სანედლეულო ჯიშებში — მუჯურეთულ/ალექსანდროულში შერევა. რთველის საკოორდინაციო შტაბი ქალაქ ამბროლაურში გაიხსნება. ყურძნის მოსავლის დაბინავების პარალელურად, უპირველეს ამოცანად რჩება ქართული ღვინის, რაჭის შემთხვევაში კი, განსაკუთრებით, ღვინის „ხვანჭკარა“ ხარისხის უზურუნველყოფა და უნიკალური თვისებების შენარჩუნება.

კოოპერატივი „რკ აგრო-ლია 2014“ იწვევს მეპაიეთა საერთო კრებას — დღის წესრიგი:

1. კოოპერატივის ქონების იპოთეკით დატვირთვა.

2. კოოპერატივის ახალი წესდების შეთანხმება.

კრება ჩატარდება 2021წლის 23ოქტომბერს 9სთზე მისამართზე: ზუგდიდი, სოფ. ინგირი, თამარ მეფის ქ.16

ნონა გაფრინდაშვილმა მთელ მსოფლიოს შეახსენა, რომ ქართველია!

მთელმა **მსოფლიომ გაიგო, რომ ნონა გაფრინდაშვილი არის ქართველი და ეს თემა მსოფლიო პრესის მთავარი გვერდებიდან არ ჩამოდის. ასევე გვაქვს დიდი მოლოდინი სასამართლოსგან, რადგან შეტანილი სარჩელი არის ერთი ნაბიჯი მოგებისკენ,** — ამის შესახებ „იმედის დღეში“ ადვოკატმა მაია მწარიაშვილმა განაცხადა, რომელიც Netflix-თან დავაში ნონა გაფრინდაშვილის უფლებებს იცავს.

ადვოკატის ინფორმაციით, მხარეებს შორის დავა გაცილებით ადრე დაიწყო, თუმცა სარჩელი ახლა შევიდა სასამართლოში. **„სარჩელი იმდენად გასაგები იყო მთელი მსოფლიოსთვის, რომ დამატებითი არგუმენტაცია არავის არ სჭირდება. ამან გამოიწვია საოცარი საზოგადოებრივი მხარდაჭერა. ამერიკელი ადვოკატების ინფორმაციით, წარმოუდგენელი მხარდაჭერა აქვს ქალბატონ ნონას აშშ-ის მედიასა და სოციალურ ქსელებში“,** — აღნიშნა მწარიაშვილმა.

მაია მწარიაშვილის ინფორმაციით, მათ შესთავაზეს Netflix-ს, რომ ფილმში ნონა გაფრინდაშვილის ბიოგრაფიის გადმოცემისას დაშვებული შეცდომები გაესწორებინა და ბოდიში მოეხადა. **„მოლაპარაკება მიდიოდა, თუმცა საბოლოოდ მოკლედ გეტყვით, რომ Netflix-სი აცხადებდა, რომ ეს იყო უწყინარი წინადადება. ამ პროცესში ჩაერთო იურისტი კლეარ როტი, რომელიც ახლა ტრამპის კომპანიის წინააღმდეგ არჩევნების საკითხზე დავას აწარმოებს. ამ დროისთვის აშშ-ის მხრიდან ნონა გაფრინდაშვილის უფლებებს ორი ადვოკატი იცავს. Netflix-თან მოლაპარკება ვერ შედგა და სარჩელი სასამართლოში შევიდა“,** — განაცხადა მწარიაშვილმა.

ადვოკატის ინფორმაციით, უკვე ცნობილია მოსამართლის ვინაობა, ვინც ამ სამართლებრივ დავას განიხილავს. **„ძალიან დიდი მოლოდინი გვაქვს, რადგან როცა სარჩელი შედის სასამართლოში, ეს არის ერთი ნაბიჯი მოგებისკენ“,** — აღნიშნა მწარიაშვილმა. ცნობილი ქართველი მოჭადრაკე ნონა გაფრინდაშვილი ამერიკულ კომპანია Netflix-ს უჩივის. როგორც იურიდიულ ფირმა BLB-ში აცხადებენ, რომელიც დიდოსტატის უფლებებს იცავს, ნონა გაფრინდაშვილის სარჩელი 16 სექტემბერს კალიფორნიაში სასამართლოს წარედგინა. მოჭადრაკე კომპენსაციის სახით ხუთ მილიონ დოლარს ითხოვს.

არასდროს არაფერი მომიგია - ერთხელ მოვიგე ერთი ცალი ნაყინი და მეზობლის ბავშვს მივეცი

72 **წლის** ნიკოლოზ რეხვიაშვილი პირველია, ვინც ვაქცინაციის წამახალისებელ ლატარიაში „აიცერი და მოიგე“ 10 ათასი ლარი მოიგო. მოგების შესახებ ჟურნალისტისგან სატელეფონო ზარით გაიგო.

„პირველი დოზით აცრის შემდეგ, მოვიგე 10 ათასი ლარი. როცა დამირეკეს და მითხრეს, რომ მოვიგე, გამიკვირდა, რადგან ჩემთვის მოულოდნელი იყო. არ დავიჯერე, რადგან არასდროს არაფერი მომიგია. ერთხელ მოვიგე ერთი ცალი ნაყინი და მეზობლის ბავშვს მივეცი. ასეთი თანხის მოგება სასწაულივით იყო ჩემს ცხოვრებაში“, — ამბობს გამარჯვებული „იმედის დღესთან“ საუბრისას.

ნიკოლოზ რეხვიაშვილი ბოლნისში, მეუღლესთან და შვილთან ერთად ცხოვრობს. მას მდიდარი შემოქმედებითი ისტორია აქვს — 2 ათასზე მეტი ლექსის ავტორია. ამბობს, რომ მოგებულ თანხას სახლის რემონტს მოახმარს და თუ თანხა მორჩება, საკუთარი პოეტური კრებულის გამოცემას გეგმავს.

ნიკოლოზ რეხვიაშვილი ბოლნისში, „სინოფარმით“ აიცრა.

STOPCOVID — ლატარია „აიცერი და მოიგე“ იმართება საქართველოს მთავრობის ინიციატივით, ვაქცინაციის პროცესის სტიმულირების მიზნით. ლატარია დაიწყო 13 სექტემბერს, ხოლო პირველი გათამაშება 14 სექტემბერს შედგა. 27 დეკემბერს დასრულდება ყოველდღიური და ყოველკვირეული გათამაშება, ხოლო 31 დეკემბერს გაიმართება შემაჯამებელი გათამაშება.

პუტინისტი მშობლები გაანწბილეს

შვედეთში მშობლებს ახალშობილისთვის „ვლადიმირ პუტინის“ დარქმევის უფლება არ მისცეს. სახელმწიფო უწყებამ უარყო მშობლების ეს მოთხოვნა, რადგან მათი განმარტებით, ვლადიმირ პუტინი „შეუსაბამო და უადგილო“ სახელების კატეგორიას მიეკუთვნება.

„სახელი არ უნდა შეურაცხყოფდეს მის მფლობელს, არ აყენებდეს რთულ და უხერხულ მდგომარეობაში და არ უნდა აღიქმებოდეს როგორც შეუსაბამო“, — ნათქვამია სახელმწიფო უწყების განმარტებაში.

თავდაპირველად, სექტემბრის დასაწყისში, მშობლები შვილისთვის „პუტინის“ დარქმევას ცდილობდნენ, მაგრამ მაშინ შესაბამისმა სახელმწიფო უწყებამ უარყო მოთხოვნა იმ მოტივით, რომ შეუძლებელია ბავშვს გვარი დაერქვას სახელის ნაცვლად.

შვედური მედია არაფერს იტყობინება იმის შესახებ, თუ რამ განაპირობა მშობლების ასეთი დაჟინება, შვილს რუსეთის პრეზიდენტის სახელი დაარქვან.

სამეფო ოჯახში შემატებაა

დიდი ბრიტანეთის **პრინცესა ბეატრისი დედა გახდა. დედოფალ ელისაბედის 33 წლის შვილიშვილს გოგო შაბათს გაუჩნდა. პრინცესამ ლონდონში, ვესტმინსტერის ჰოსპიტალში იმშობიარა. ბეატრისისა და თავისი ქმრის ედოარდო მაპელი მოცისთვის ეს პირველი ბავშვია.**

პატარა დედოფლის მე-12 შვილთაშვილია და ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრეთა სიაში მე-11 ადგილს იკავებს. ბავშვის სახელი ჯერ უცნობია. პრინცესა ბეატრისი და ედოარდო მაპელი მოცი 2020 წლის სექტემბერში დაქორწინდნენ.

ტაძრის ასლი ცარიელი ამპულებისგან

გერმანიაში **ექიმმა კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის ცარიელი ამპულებით კიოლნის ტაძრის ასლი ააწყო. ბასტიან კირში თერაპევტია და კიოლნის ერთ-ერთ სამედიცინო ცენტრში მუშაობს. მან ცარიელი ამპულების უტილიზაციის ორიგინალური მეთოდი მოიფიქრა და მათი გამოყენებით ცნობილი კიოლნის ტაძრის ასლი ააწყო.**

ამისთვის მან 220 ამპულა გამოიყენა. ახლა მისი ქმნილება სამედიცინო ცენტრშია გამოფენილი, სადაც ექიმი მუშაობს.

ფუტკრებმა პინგვინები დახოცეს

სამხრეთ აფრიკის **რესპუბლიკაში, დედაქალაქ კეიპტაუნთან ახლოს, გადაშენების მაღალი საფრთხის პირას მყოფ პინგვინებს ფუტკრების უზარმაზარი გუნდი შეესია. ფუტკრებმა სულ 63 აფრიკული პინგვინი იმსხვერპლეს. ერთ-ერთს 30-მდე ნაკბენი ჰქონდა. ფრინველთა კონსერვაციის სპეციალისტები ამბობენ, რომ ფუტკრების მსგავსი მასშტაბის შესევა ძალიან იშვიათია.**

დაკბენილი პინგვინები საიმონსტაუნის სანაპიროზე იპოვეს. სამხრეთ აფრიკის ეროვნული პარკების სააგენტოს ბიოლოგი ელისონ კოკი ამბობს, რომ როგორც წესი, პინგვინები და ფუტკრები თანაარსებობენ და რაიმე მაპროვოცირებელი გარემოების გარეშე, ფუტკრები პინგვინებს თავს არ ესხმიან. მისი ვარაუდით, პინგვინებმა ფუტკრების ბუდესთან ახლოს გაიარეს.

10 წლის წინათ დაკარგული კატა იპოვეს

შოტლანდიაში **10 წლის წინ დაკარგული კატა იპოვეს. ფორბსი 2011 წელს, აბერდინში დაიკარგა. მისი პატრონები — ნილი და ლუსი ჰენდერსონები მას რამდენიმე თვის განმავლობაში უშედეგოდ ეძებდნენ, 9 თვის შემდეგ კი დანებდნენ, რადგან იფიქრეს, რომ კატა მოკვდა.**

რამდენიმე დღის წინ კი ცხოველთა დაცვის ერთ-ერთმა ორგანიზაციამ აბერდინში კატა იპოვა, რომელსაც მიკროჩიპი ჰქონდა. ორგანიზაციის თანამშრომლებმა ჩიპზე მითითებულ ნომერზე დარეკეს და ნილსა და ლუსის დაუკავშირდნენ. ფორბსი იმ ადგილის ახლოს იპოვეს, სადაც დაიკარგა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 24 სექტემბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.1099; ევრო - 3.6429;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.2593;
100 რუბლი - 4.2372; თურქული ლირა - 0.3594;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8285;
1000 სომხური დრამი - 6.3628.

ამინდი 22 სექტემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+12,	დღე	+29
მთიანი რაიონები -	ღამე	+9,	დღე	+27
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+15,	დღე	+26
მთიანი რაიონები -	ღამე	+12,	დღე	+25
თბილისი:	ღამე	+17,	დღე	+25

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge